# ალია

50 თეთრი
გამოდის:
ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

N55 (3371) 19 მაისი 2016 წ ფასი 50 თეთრი

ორშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან


## რა ხდება ხელისუფლებაში? რატომ იქცევა ივანიშვილი ასე გამომწვევად 9



„პოლიტიკური რეპრესია არის ის, სტალინი რასაც აკეთებდა: ატარებდა რეპრესიას და ოპოზიციას ანადგურებდა. თორემ, როდესაც ატარებ რეპრესიას, ოპოზიციას კი არ ანადგურებ, აძლიერებ, ამას რეპრესია კი არა, იდიოტიზმი ჰქვია“



## რა შეიცვლება „კაბელების საქმეზე“ დაჭერილებისთვის ალასანიას გუნდის დიპლომატებთან შეხვედრით? 3



## რომელი აგრესიული სექტის წარმომადგენელია ომბუდსმენი ნანუაშვილი? 8



რას ყვება სანდრო ბრეგაძე?



## რა ხდებოდა საკრებულოს კულუარებში ნარმანიას სხდომაზე გამოსვლის შედეგ? 11



ნარმანიას საკითხით სუს-ი დაინტერესდა?



## ბიძინა ივანიშვილის 15 ტყუილი 7





## „ოპერის წითელ დარბაზში ასამდე მოსამართლემ (!) იქეიფა ხინკლებით, მწვადებით, ღვინით, ლუდით და ა.შ.“ 6

რა აღნიშნეს მოსამართლეებმა 15 მაისს ოპერაში?





ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ივანიშვილიცა და ღარიბაშვილიც ხომ იყვნენ პოლიტიკაში, გააკეთეს რამე? რისთვისღა გინდათ, რომ დაბრუნდნენ?!



„ახალგაზრდულმა ცენტრმა“ პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების რეიტინგის დასადგენად კვლევა ჩაატარა.

კვლევის შედეგად, ყოფილი პრემიერ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შესაძლო დაბრუნებას გამოკითხულთა უმრავლესობა დადებითად აფასებს.

კერძოდ, კითხვაზე, როგორ შეაფასებთ ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შესაძლო დაბრუნებას, რესპონდენტებმა შემდეგნაირად უპასუხეს: დადებითად 67,5 პროცენტი (607 რესპონდენტი); უაყოფითად 10,8 პროცენტი (97 რესპონდენტი); მიჭირს პასუხის გაცემა 14,4 პროცენტი (130 რესპონდენტი), ხოლო გამოკითხულთა 7,3 პროცენტმა კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა.




ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, კვლევა მაისში დაიწყო და მასში უკვე 900-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. კვლევას თსუ-ს სოციოლოგები ატარებენ.

რესპონდენტებს ანალოგიური კითხვა დაუსვეს ირაკლი ღარიბაშვილთან დაკავშირებითაც. პასუხები ასე გადანაწილდა:

ფაქტს დადებითად 51,4 პროცენტი (463 რესპონდენტი) აფასებს; კითხვაზე პასუხის გაცემა 22,3 პროცენტს (201) უჭირს, უარი პასუხზე 16,7 პროცენტი (150), ხოლო ფაქტს უარყოფითად აფასებს 9,6 პროცენტი (86).

გარდა ამისა, კვლევა შეეხო მთავრობის მუშაობის შეფასებასაც. კერძოდ, კითხვაზე – როგორ აფასებთ მთავრობის მუშაობას, შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: დადებითად 33,5 პროცენტი (301); უარყოფითად 22,1 პროცენტი (199); მიჭირს პასუხის გაცემა 44,4 პროცენტი (400).

ხოლო კითხვაზე, 5 ბალიანი სისტემით როგორ აფასებთ პრემიერ-მინისტრის საქმიანობას, რესპონდენტების უმრავლესობამ 3,7 დაასახელა.



პარლამენტის მუშაობით კი კმაყოფილია გამოკითხულთა 43,9 პროცენტი, უკმაყოფილო — 22,3 პროცენტი. (pia.ge)

**არავის ეწყინოს, მაგრამ ძალიან უცნაური ხალხი ვართ ქართველები — სულ ვიღაცის მოლოდინში ვართ და გვგონია ხოლმე, რომ მოვა მხსნელი და გადაგვარჩენს, გვირაბის ბოლოს სინათლეს დაგვანახებს, აღთქმულ მიწამდე მიგვიყვანს. სინამდვილეში კი რაც დაგვანახა ყველა ხელისუფალმა, უხერხულია ახლა აქ ამის დაკონკრეტება...**

**მოკლედ, განვიხილოთ ამ კვლევის შედეგები — ესე იგი, 67,5 პროცენტი დადებითად აფასებს პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებას, რაც მსუბუქად რომ ვთქვათ, უცნაურია!**

**კაცო, ჯერ ერთი, ვინ აძალებდა — წადიო, რას მიდიოდა?! ან დაბრუნება რომ უნდოდეს, ვინმე ხელფეხს უბორკავს? არა! ჰოდა, დასკვნაც შესაბამისია — რისი „მუღამიც“ ჰქონდა, კი „გაისწორა“ - სააკაშვილი დააპანღურა, რაც რასაკვირველია, დასაფასებელია, მაგრამ დანარჩენი აღარ ადარდებს და ნუღარ იტყუებთ თავს, ფუჭი იმედებით რატომ უნდა იყოთ?**

**რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, კვლევის თანახმად, მისი მობრუნება გულს 51,4 პროცენტს გაუხარებდა. ჰმ!.. ან ღარიბაშვილი რას მიდიოდა? თუმცა, არა, ივანიშვილისგან განსხვავებით, მაგას კი წასვლა აშკარად დააძალეს. ვინ? ჰმ!..**

**რაც შეეხება კვლევის მესამე მონაცემს — მთავრობის მუშაობას დადებითად მხოლოდ 33,5 პროცენტი აფასებსო, იმას გვაფიქრებინებს, რომ უმრავლესობა კვლავაც სწორედ ივანიშვილის ან ღარიბაშვილის პრემიერობაზე ოცნებობს, რაც არ ჯდება ლოგიკაში და რაც გინდათ, ის გვითხარით!**

**ჰო, მთლად ალოგიკურია პარლამენტის მუშაობით მოხიბლული 43,9 პროცენტი რომ ყოფილა — საინტერესოა, უფრო რომ დაკონკრეტებულიყო კითხვა და რესპონდენტებისთვის ეთხოვათ — მაინც, რა არის დადებითი პარლამენტის მუშაობაში, რა პასუხებს გასცემდნენ.**

**არა, რა, ძალიან უცნაური ხალხი ვართ ქართველები!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „ეკა ბესელია მფარველობს ალანიას“ - რას ყვებიან ფოთში სექსუალური ძალადობის ბრალდებით გათავისუფლებული პოლიციის უფროსზე

ფოთის პოლიციის უფროსი თანამდებობიდან გათავისუფლდა. ზურაბ ალანიას სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ პირთან დაკავშირებით შსს-ს გენერალური ინსპექცია სამსახურებრივი გადაცდომის საქმეზე შემოწმებას ატარებს. ზურაბ ალანია ფოთის პოლიციის უფროსის პოსტს 2012 წლის ნოემბრიდან იკავებდა. აღსანიშნავია,



რომ ამ თანამდებობაზე ალანია პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის რეკომენდაციით დაინიშნა. ალანია ეკა ბესელიას ნათესავია. მათ ნათესაურ კავშირზე ფოთშიც საუბრობენ. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ფოთის ორგანიზაციის წარმომადგენელი დარეჯან ცხვიტარია ამბობს, ზურაბ ალანიას საკითხს ბესელიასთან ნათესაური კავშირის გამო არ გამოიძიებენ.

– მთელი ქალაქი ამაზე საუბრობს, ეს იყო ეკა ბესელიას ხელდასმული პიროვნება. იგი სულ მფარველობს მას. ალანიას ქალაქში მეტსახელად „ყულაბას“ ეძახდნენ და რატომ, ეს საზოგადოებისთვის მიმინდვია. ბესელია მსგავსი კრიმინალების დამცველია და არა უბრალო ხალხის, - აცხადებს დარეჯან ცხვიტარია.

საკითხს პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ აქტივისტი, ადვოკატი ზაურ კინტირაიაც ეხმაურება. იგი ამ-



ბობს, რომ ზურაბ ალანია ეკა ბესელიას საამაყო კადრი იყო, ის არის დეპუტატის ბიძა და ბესელია ამას არც მალავდა.

– მიმაჩნია, რომ ეკა ბესელიას გადაწყვეტილებებმა საკადრო საკითხებში ფოთზე ძალიან ცუდად იმოქმედა და არავინ იცის, კიდევ რა გველოდება წინ, - განმარტავს კინტირაია.

აღსანიშნავია, რომ ალანიას თანამდებობაზე დანიშვნიდან რამდენიმე თვეში ეკა ბესელიამ ჟურნალისტს დაუდასტურა, რომ ფოთის პოლიციის უფროსად მისი ნათესავი მისი რეკომენდაციით დაინიშნა. (ambebi.ge)

**ჰოოო, დიდ შარში გაუყვია თავი ფოთის „პოლიცმეისტერს“!..**

**უდანაშაულობის პრეზუმფცია რომ არ დავარღვიოთ, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ თუ მას დანაშაული დაუმტკიცდა, უმკაცრესად უნდა დაისაჯოს და სექსუალური ძალადობა არავის არ უნდა შერჩეს, ეკა ბესელიას ნათესავი კი არა, თუნდაც ბაგრატიონების ერთადერთი შთამომავალი იყოს!!!**

**ისე, ყულაბა რა მაგარი „კლიჩკაა“, არა?! ეეჰ, რა დღეშია ხალხი?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ქუთაისში კი არა, უფრო შორსაც უნდა წახვიდეთ, თუ საქმეს სჭირდება — აბა, რაში გიხდით ხელფასს, ბატონო პრეზიდენტო?



– იქნებ ქუთაისში მივაკითხო პარლამენტს და ჩემით წამოვიღო „საკონსტიტუციო სასამართლოს“ შესახებ კანონპროექტი, - აცხადებს გიორგი მარგველაშვილი.

პრეზიდენტის შეფასებით, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონპროექტის მიღების პროცესი სწრაფად წარიმართა, რაც პოლიტიკურად გაუმართლებელია.

– პოლიტიკურად აბსოლუტურად გაუმართლებელია ასე სწრაფად ამ პროცესის წარმართვა ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტების ჩართვის გარეშე, როგორიცაა ვენეციის კომისია და როგორიცაა თვითონ საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც, ალბათ, ჭკუა უნდა ვკითხოთ, როდესაც მათ კონსტიტუციურ სტატუსზე ვლაპარაკობთ. სხვა დეტალებზე ამ დროისთვის ვერაფერს ვიტყვი, რადგან თვითონ კანონპროექტი აქამდე არ მიმიღია და ვფიქრობ, იქნებ ქუთაისში მივაკითხო პარლამენტს და ჩემით წამოვიღო ეს კანონპროექტი, რომ ბოლოს და ბოლოს დეტალებზე გესაუბროთ, თუ რა სირთულეებია კანონში, - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. (პირველი რადიო)

**ჰო, ბატონო პრეზიდენტო, თუ საქმეს და ქვეყანას სჭირდება, თქვენით უნდა მიხვიდეთ ქუთაისშიც, მუჰამედთანაც, მთასთანაც და კიდევ უფრო შორსაც, მაგრამ რადგან დიდი ხანია პარლამენტთან თქვენი ურთიერთობა უაზრო თამაშად — „ვეტო დავადე“-„ვეტო დავძლიედ“ გადაიქცა, არც ქუთაისში მისვლას აქვს აზრი და არც — იმის იქით!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ნატო მაპს არა, მაგრამ სხვა რამეს გვთავაზობს-თქო

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ჯეიმს აპატურაის თქმით, ვარშავის სამიტზე საქართველო მაპს ვერ მიიღებს, თუმცა მას ექნება „ყველაფერი დანარჩენი, მაპის გარდა“.



აპატურაის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების სწორი მიდგომაა, რომ არ მოხდეს წევრობის სამოქმედო გეგმის გაფეტიშება და ის პოლიტიკური დისკუსიის საგნად არ იქცეს.

– ვფიქრობ, გადაწყვეტილება, რომ ფოკუსირება მოხდეს მომავალ წევრობაზე და არა მაპის თემაზე და როგორ შეიძლება, სამოქმედო გეგმის მინიჭება ფურცელზე გაჩნდეს, არის სწორი და მართებული მიდგომა, რაც საქართველოს ხელისუფლებას აქვს. არ გვინდა მაპის გაფეტიშება, არ ვაქციოთ ის პოლიტიკური დისკუსიის საგნად. მას საქართველოს სამიტზე არ მიანიჭებენ, რასაც საქართველოს მთავრობა გააკონტროლებს და აქ ჩვენ. არის ყველაფერი დანარჩენი ამის გარდა, - განაცხადა აპატურაიმ „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ ინტერვიუში.

მისივე თქმით საქართველოს ყველა პრაქტიკული მექანიზმი აქვს წევრობისთვის მოსამზადებლად, თუმცა აცხადებს, რომ წევრობისთვის რეგიონალური გართულებების გათვალისწინებაც საჭიროა. (pia.ge)

**ჰოდა, თუ არ მოგვცემთ მაპს, ეგ „სხვა ყველაფერი“ თვითონ დაიტოვეთ, აქეთ შემოგთავაზებთ სხვა რამეს, გასაგებია?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „ნაცმოძრაობა“ სიტყვა „განახლების“ მნიშვნელობის აზრზე არ არის!

„პირველი რადიოსთვის“ ცნობილი გახდა „ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობა. სიაზე პარტიაში კომენტარს არ აკეთებენ. გთავაზობთ სიის ვერსიას, რომელიც არაოფიციალურია.

1. დათო ბაქრაძე; 2. ელენე ხოშტარია; 3. რომან გოცირიძე; 4. ნიკა მელია; 5. გიორგი ტუღუში; 6. ოთარ კახიძე; 7. სალომე სამადაშვილი; 8. ირაკლი აბესაძე; 9. სერგი კაპანაძე; 10. სერგო რატიანი; 11. გიორგი კანდელაკი; 12. ლელა ქებურია; 13. კაკო ბობოხიძე; 14. გიგა ბოკერია; 15. თენგიზ გუნავა; 16. ირმა ნადირაშვილი; 17. აზიკა სულეიმანოვი; 18. თიკა ბოკუჩავა; 19. გიორგი თევდორაძე; 20. ზურა ჭიაბერაშვილი; 21. ლაშა დამენია; 22. ხათუნა გოგორიშვილი; 23. ნიკოლოზ ნაყოფია; 24. ზაზა კედელაშვილი; 25. მამუკა ჩიქოვანი; 26. გიგი წერეთელი; 27. გიორგი ღვინიაშვილი; 28. ასმათ დიასამიძე; 29. მიშა მაჭავარიანი; 30. ბადრი ბასიშვილი; 31. ზურა ჩილინგარაშვილი; 32. ნინო კალანდაძე; 33. დიტო ძაგნიძე; 34. ლევან თარხნიშვილი; 35. ლევან კონჯარია; 36. სოფიო სიუკაევა; 37. მამუკა სალარეიშილი; 38. ნინო კვიტაიშვილი; 39. ბესიკ კვიციანი; 40. დავით დარჩიაშვილი; 41. ხათუნა ბერძენიშვილი; 42. ლალი რამინაშვილი; 43. კახა მიქელაძე; 44. ბესო წერედიანი; 45. ზვიად დუშმანაშვილი; 46. გევორქ შუშანიანი; 47. ლაშა იმერლიშვილი; 48. თამარ დალაქიშვილი; 49. ოთარ სირაძე; 50 ვიტალი გოგუაძე; 51. ნატალია ბაბუხადია; 52. ბაკურ მგელაძე; 53. ლევან ბაღაშვილი; 54. როინ მახარობლიშვილი. (პირველი რადიო)

# რა შეიცვლება „კაბელების საქმეზე“ დაჭერილებისთვის ალასანიას გუნდის დიპლომატებთან შეხვედრით?

ნინო სამხარაძე
599 71-14-22





რატომ აცოცხლებს ხელისუფლება პოლიტიკურ გვამებს არჩევნების წინ? რატომ ითხრის საკუთარი ხელით სამარეს და ვის პოლიტიკურ პანაშვიდზე მოგვიწევს მისვლა? – კითხვები რიტორიკულია, თუმცა რეალური. ყველასთვის მოულოდნელი იყო ე.წ. კაბელების საქმის მონაწილეებისთვის 7-წლიანი პატიმრობის შეფარდება. საქმე ბუნდოვანია, ამას გარდა, პროკურატურამ და სასამართლომ ვერ მოახერხა საზოგადოებისთვის კაბელების საქმე უფრო თვალნათელი, ახსნადი და ეჭვგარეშე გამხდარიყო. ბუკა პეტრიაშვილი მართალია, როცა ამბობს, რომ სახელმწიფო სამსახურებში მაღალი თანამდებობის პირები თუ საჯარო მოხელეები აღშფოთებას გამოთქვამენ 7-წლიანი პატიმრობის გამო და თვლიან, რომ ეს ადამიანები, ვინც საქალაქო სასამართლომ გაწირა, საქმეში არიან უდანაშაულოები და ამიტომაც ეს საქმე ძალიან მარტივად ალასანიამ გადაზარდა პოლიტიკურში და იგი ბიძინა ივანიშვილს მიმართავს, – ამ ბიჭების მაგივრად მე დამაკავეთო, ხელისუფლება რატომ ვერ ხვდება, რომ ამ პოლიტიკური გვამისგან, ნებით თუ უნებლიეთ, წინასაარჩევნო პროცესში ქმნის დაჩაგრულ ლიდერს, რომელიც იბრძვის სამართლიანობისთვის, რეალურად კი ალასანიას ამ აქტით ხდება პოლიტიკური შეცდომების „ჩამოწერა“. 2012 წლის არჩევნებზე ყველაზე დიდი ბიუჯეტი გამოყოფილი ჰქონდა ალასანიას, რომელიც კენჭს იყრიდა ზუგდიდში მაჟორიტარ კანდიდატად და კურირებდა სამეგრელოს. რაც არ უნდა გამაოგნებელი იყოს, ალასანია დამარცხდა როლანდ ახალაიასთან, უფრო სწორად „თავი დაიმარცხა“, რადგან მას „ნაციონალებთან“ გარიგება დაუდია და ამაზე ბევრს საუბრობდნენ პოსტსაარჩევნო პერიოდში ის აქტივისტები, ვინც „ქართულ ოცნებას“ უჭერდა მხარს. მათ შორის იყო ლალი ანთია, რომელიც კომპრომატებს დებდა ირაკლი ალასანიაზე და ღიად აცხადებდა, რომ სამეგრელო ალასანიამ „ნაცმოძრაობას“ ჩააბარა. ამ პერიპეტიებში კი დაიკარგა სამი მილიონი, ბევრმა აქტივისტმა, ვინც ალასანიას ეხმარებოდა, თანხა ვერ მიიღო, რეალურად არ მოხმარდა საარჩევნო კამპანიას ფული და სწორედ მაშინ გაჩნდა კითხვა – სად წაიღო 3 მილიონი ირაკლი ალასანიამ? ამ კითხვაზე პასუხი დღემდე არ გაცემულა.

ირაკლი ალასანია რომ პოლიტიკური ბეცია, ამას მისი კარიერა ამტკიცებს და დღეს, როცა ის საზოგადოებას მოუხმობს, დადგნენ მის გვერდით და იბრძოლონ სამართლიანობისთვის, რა თქმა უნდა, ეს არის პოლიტიკური უსინდისობა მისი მხრიდან. შეგახსენებთ, რომ 2009 წლის აპრილის კარვების აქცია სწორედ მან დაშალა, 2011 წლის 26 მაისს დარბეულ ხალხს „უხარისხო ქართველები“ უწოდა და ამიტომაც, ნინო ბურჯანაძემ ალასანიას მათრახი გადასცხო და ირონიულად იკითხა: ალბათ, ალასანიასთან ხარისხიანი ქართველები მივლენო.

ბოდიში იმის გამო, რომ თავის დროზე ბიძინა ივანიშვილის გვერდით დადგნენ, მათი მხრიდან არ ისმის. არაკაცობა და ლაჩრობაა, რადგან იმდენი პოლიტიკური წინდახედულებაც არ ჰყოფნით, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილის გვერდით კი არ დადგნენ, იმ იდეის გარშემო გაერთიანდნენ, რომ დაემარცხებინათ სააკაშვილის რეჟიმი და ეხსნათ ქართველი ხალხი სიკვდილისგან, შიშისგან და გადაერჩინათ ჩვენი ფეხქვეშ გათელილი ღირსება. მრავალი მცდელობის მიუხედავად, ქართულმა ოპოზიციამ ვერ შეძლო ეს აქტი უსისხლოდ განეხორციელებინა, რადგან ბევრი მათგანი მიეყიდა სააკაშვილს.

**რას ფიქრობს ამ ყველაფერზე და რა პროვოკაციებია მოსალოდნელი?**

**„ალიას“ ექსპერტი მამუკა არეშიძე ესაუბრა:**

**— თქვენი აზრით, რატომ ქმნის ხელისუფლება ირაკლი ალასანიასგან „სამართლიანობისთვის“ მებრძოლ ლიდერს და სად არის სიმართლე ე.წ. „კაბელების საქმეში“.**

– მეჩვენება, რომ ორივე მხარე რაღაცას მალავს, როგორც ძალოვანი სტრუქტურები, ასევე „თავისუფალი დემოკრატები“. ალასანიამ დააანონსა აქციები, მაგრამ ცოტა არ იყოს და მიკვირს, რადგან ვერ ვხედავ იმის რესურსს, რომ შეიძლება ალასანიამ მასშტაბური აქციების მოწყობა შეძლოს. ჩვენ ვნახეთ, რომ „ეროვნულმა ფორუმმა“ პრეზიდენტს მიმართა თხოვნით, რომ შეიწყალოს კაბელების საქმის მონაწილეები, ამ შემთხვევაში „ფორუმი“ სწორად იქცევა, ისინი მხარს უჭერენ დაჩაგრულებს და არა ირაკლი ალასანიას, მაგრამ ზოგიერთი სხვა პოლიტიკური პარტიების პოზიციაში ჩანს უფრო მეტად ირაკლი ალასანიასადმი მხარდაჭერა, ვიდრე იმ ადამიანებისა, ვინც ამ საქმის გამო არიან დაკავებულები. არასდროს დამიმალავს, რომ დაპატიმრებულებიდან ორი ადამიანი არის ისეთი, რომელთა ბიოგრაფიაშიც ეჭვი არ მეპარება, ვერასდროს წარმოვიდგენ, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ ნაბიჯს გადადგამენ. აქ შეიძლება იყოს რამდენიმე ვარიანტი, ან ვიღაცამ მათზე ხელი შეიწმინდა და გაწირა, ვგულისხმობ თავდაცვის სამინისტროს მაშინდელ მაღალჩინოსნებს, ან ყველაფერი ისე არ არის, რასაც სამართალდამცავები გვიხატავენ.

**— რაში სჭირდებოდა ხელისუფლებას, 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ამ ხალხისთვის, მაშინ, როცა შესაძლებელია საპროცესო გარიგებით ამ ადამიანების გამოშვება და თუკი დამტკიცდება, რომ 4 მილიონი გაქრა, გადაიხადოს ალასანიამ და ამით „გარასხოდდება“ ივანიშვილთან.**

– ეს არის ყველაზე მთავარი კითხვა... ეს ხომ არ არის მეხუთე კოლონის საცეცების გამოვლინება, რადგან ძალიან ხშირად ვაწყდები ასეთ მოვლენებს, როცა პროცესის ჩუმი საბოტაჟი ხდება. ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო ამხელა განაჩენი, რა საჭირო იყო ამხელა აჟიოტაჟის ატეხა, ვერ ვხვდები. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ამ ადამიანებს სპეციალურად მიუსაჯეს რაც შეიძლება დიდი სასჯელი, რომ ამას პოლიტიკური ვნებათაღელვა გამოეწვია. ამ ფაქტს საზოგადოების ნაწილის გაღიზიანება მოჰყვა, რადგან დიდმა ნაწილმა საბოლოოდ ვერ გაიგო, რა მოხდა, რადგან ჩვენ გვაქვს ასეთი ფორმულა – კორუფციული გარიგების შედეგად მოხდა რაღაც სამუშაოს შესრულება, მაგრამ, როგორც იურისტები მეუბნებიან, კორუფციული გარიგება არ დასტურდება ფაქტებით, გადარიცხვის საბუთები არ ჩანს. ამიტომ მიჩნდება ეჭვი, რომ ამ საქმეში საბოტაჟის ელემენტებიც არის.

**— „თავისუფალი დემოკრატები“ უცხოელ დიპლომატებს შეხვდნენ, კაბელების საქმეზე დაკავებულების გამო. ეს შეცვლის რამეს?**

– დიპლომატები აუცილებლად მოითხოვენ, რომ გამჭვირვალე იყოს პროცესი, თუმცა, მოგეხსენებათ, რომ დიპლომატები ყოველთვის ერიდებიან სასამართლოსთვის მითითებების მიცემას. მე ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი შეიწყალებს „კაბელების საქმეზე“ დაკავებულებს, მისი გამოსვლების პათოსი ამას მაფიქრებინებს. მან თქვა: პროცესი მიმდინარეობს და მასზე არ ვაკეთებ განცხადებას, გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკოსები არ უნდა საუბრობდნენ მიმდინარე სასამართლო პროცესზე, არადა, კონკრეტულად ამ საქმეზე არაერთი ზედმეტი კომენტარი მოვისმინე პოლიტიკოსებისგან. ზედმეტად ჩახედულები იყვნენ ისინი სასამართლოს საქმეში...“ ის გულისხმობდა ბიძინა ივანიშვილს და დავით საგანელიძეს, როცა მათ იმაზე მეტი ინფორმაცია თქვეს, ვიდრე უნდა სცოდნოდათ, მაგრამ მომკალით და მაინც სპექტაკლის ელემენტებს ვხედავ იმისთვის, რომ მეხუთე კოლონას ეს ვნებათაღელვა გამოეწვია. მაგალითად, ხელისუფლებას რომ იგივე გავლენა ჰქონდეს სასამართლოზე, როგორც „ნაცმოძრაობას“, მერწმუნეთ, ყველაფერს გააკეთებდა, რომ სასამართლო პროცესი არჩევნების შემდეგ გამართულიყო, თუ უნდოდათ, რომ ამ ხალხისთვის 7 წელი მიესაჯათ. თუ ვინმე შემეკამათება და მეტყვის, რომ ხელისუფლებამ ეს ალასანიას დისკრედიტაციისთვის გააკეთა, ალოგიკურია, რადგან ამით მისი დისკრედიტაცია არ მომხდარა, პირიქით, დაისაჯა არა ალასანია, არამედ დაისაჯა ის ხუთი კონკრეტული პიროვნება... და თუ ალასანიამდე მიდის კვალი და ის არის დამნაშავე, რიგითი თანამშრომლები კი არ უნდა დასჯილიყვნენ, არამედ თვითონ ირაკლი ალასანია. ასე რომ, მე ვერ ვხედავ ხელისუფლების წვლილს, რომ სასამართლო აიძულა. ეს იგივეა, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა მის წინააღმდეგ მომხდარიყო კონსოლიდირება. რაც არ უნდა ილაპარაკოს ოპოზიციამ, რომ ამ საქმეშია ჩართული ივანიშვილი, ვერ წარმომიდგენია, რა ფორმით შეიძლება ყოფილიყო ამ საქმეში ჩართული, თავისი თავისთვის მოეწყო ექსცესები და მის წინააღმდეგ გაერთიანებულიყო ოპოზიცია? ამის არ მჯერა, აქ ლოგიკა არ არის.

**— ბიძინა ივანიშვილმა თავად შექმნა თვითკომპრომატი ამ საქმეზე, როცა „საზოგადოებრივ არხზე“ გამოვიდა და თითქმის დეტალურად მოყვა, რა ეწერა ე.წ. კაბელური საქმის „გრიფით საიდუმლო“ მასალებში, პარალელურად ამას ამტკიცებდა „ქართული ოცნების“ უმრავლესობის ყოფილი ლიდერი დავით საგანელიძე.**

– რასაკვირველია, მას არ უნდოდა, სცოდნოდა საქმის მასალები დეტალურად, თუმცა ეს არის სხვა შემთხვევა, მაშინვე უარყოფითი შეფასება მიეცა ამ ფაქტს, მაგრამ ეს განაჩენთან კავშირში არ არის. ეს იყო პროკურატურის დანაშაული, არც საგანელიძეს და არც ივანიშვილს არ უნდა სცოდნოდათ, რა ეწერა საქმის მასალებში, მაგრამ ჩვენ დღეს ვსაუბრობთ საქმის განჩინებაზე, რომელიც იყო აბსოლუტურად კონტრპროდუქტიული და ხელისუფლების საწინააღმდეგო... მისი ყოფილი თანამშრომლების დასჯით ალასანია არ ისჯება. რეალურად ალასანიას სასათბურე პირობები შეუქმნეს და მას მიეცა საინფორმაციო ველის ათვისების მეტი შესაძლებლობა. დაჩაგრულები ალასანია კი არა, დაპატიმრებული ადამიანები და მათი ოჯახის წევრები არიან. სიტუაცია რომ უფრო გამძაფრდება და მეხუთე კოლონა საცეცებს უფრო მეტად აამოქმედებს, ამის შესახებ კონკრეტული ინფორმაციები მაქვს. კერძოდ გეტყვით, რომ ძალოვანი სტრუქტურის ყოფილი თანამშრომლები აქტიურად დადიან უკრაინაში, მათ უტარებენ ტრენინგებს და ასევე, ეძლევათ სხვადასხვა ტიპის დავალებები. ეს დავალებები დაკავშირებულია არჩევნებთან. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ვიღაცა ქუჩაში სროლას დაიწყებს, მაგრამ ეს არის დავალებები, რომლებიც ეხება არჩევნების პროცესს და ვითარების დაძაბვას. ამიტომ ვთვლი, რომ კომპლექსური მიდგომა ხდება ქვეყანაში სიტუაციის დასაძაბავად. მათ შორის „კაბელების საქმის“ სასამართლო გადაწყვეტილება ამ კონტექსტში მეჩვენება.

**— რა ტიპის დაძაბულობას ელოდებით და რა ტრენინგებს გადიან ყოფილი ძალოვნები უკრაინაში?**

– მაგალითად, ერთ-ერთია სადამკვირვებლო ტრენინგები, ერთი შეხედვით თითქოს ამაში ცუდი რა უნდა იყოს, მაგრამ მთავარია, როგორ მოიქცევიან ის დამკვირვებლები, ვინც შესაბამისი ტრენინგები გაიარა. ეს ყოველთვის არ არის ცნობილი, მაგრამ ჩვენ გვაქვს სამწუხარო გამოცდილება, როცა დამკვირვებლის მანტიაში იყო „ზონდერი“. მოკლედ, „ზონდერბრიგადებს“ ცესკოს მიერ მინიჭებული ჰქონდათ შესაბამისი სტატუსი და სინამდვილეში ასრულებდნენ უბანზე მოსახლეობის დაშინებისა და შევიწროების ფუნქციას. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოფილ „ზონდერებსა“ და ძალოვნებს „ნაციონალები“ ამზადებენ იმისთვის, რომ ზოგი იყოს ამრევი, ექსცესის მომწყობი, ზოგი დამკვირვებელი, იმ ხალხში, ვინც ტრენინგს გადის, ძალიან ბევრია კუდ-ის თანამშრომელი. ხელისუფლებას მოვუწოდებ, ამ კუთხით იმუშაოს, გამოიჩინოს სიფრთხილე, მოსალოდნელია სერიოზული არეულობა და დროულად მიიღოს პრევენციული ზომები.

**„ეს იყო პროკურატურის დანაშაული, არც საგანელიძეს და არც ივანიშვილს არ უნდა სცოდნოდათ, რა ეწერა საქმის მასალებში, მაგრამ ჩვენ დღეს ვსაუბრობთ საქმის განჩინებაზე, რომელიც იყო აბსოლუტურად კონტრპროდუქტიული და ხელისუფლების საწინააღმდეგო... მისი ყოფილი თანამშრომლების დასჯით ალასანია არ ისჯება. რეალურად ალასანიას სასათბურე პირობები შეუქმნეს და მას მიეცა საინფორმაციო ველის ათვისების მეტი შესაძლებლობა“**

# აფბა - ლარის გამყარების ხელოვნური შეჩერების მცდელობებს აქვთ როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტები



„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის - აფბას" პრეზიდენტ შოთა გულბანის განცხადებით, მიმდინარე ეტაპზე ლარის გამყარების პროცესის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ პროცესისთვის ხელის შეშლა და ლარის კვლავ გაუფასურება.

– ეროვნული ვალუტა დოლარის მიმართ პერმანენტულად და უწყვეტ რეჟიმში მყარდება. ქრონოლოგიურად ეს პროცესი დაემთხვა საქართველოს ეროვნული ბანკის პოსტიდან გიორგი ქადაგიძის წასვლას. ქადაგიძის ოპონენტები ამას მისი საქმიანობით, მისი პოლიტიკური ანგაჟირებულობით და სებ-ის კომპეტენციის ფარგლებში არსებული ბერკეტების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებით ხსნიან. სებ-ის ყოფილი პრეზიდენტი და ექსპერტთა ნაწილი, განსაკუთრებით „ნაციონალურ მოძრაობასთან" აფილირებული ექსპერტები, საგარეო ფაქტორებსა და ბიუჯეტის დეფიციტურ ხარჯვაზე მიუთითებენ, ამ დროს რიგითი მოქალაქე ვერ გარკვეულა, უნდა უხაროდეს თუ არა ლარის გამყარება დოლართან და შიგადაშიგ ევროსთან მიმართებაში, - აცხადებს გულბანი.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე ლარის გამყარების თანდათანობითი პროცესი დადებითი და მისასალმებელი ტენდენციაა.

– ის ფაქტორი, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი დაგეგმილია შეფარდებით 1 დოლარი 2,4 ლარი, არ ამართლებს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ პერმანენტულ ინტერვენციებს სავალუტო ბაზარზე, სადაც სებ-მა მარტის შუა რიცხვიდან დღემდე ჯამში 115 მილიონი დოლარი შეისყიდა, რითაც მიზანმიმართულად აფერხებს ლარის გამყარების პროცესს, მაშინ, როცა სებ-ის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნებას. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებამ სებ-ისგან ვერ მოისმინა მკაფიო განმარტებები ლარის გამყარების პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებთან დაკავშირებით. აქ მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რა უფრო პრიორიტეტული და უპრიანი შეიძლება იყოს ქვეყნისთვის მოცემულ ეტაპზე, გაუფასურებული ლარით შენარჩუნებული ექსპორტის კონკურენტუნარიანობა, რომელიც რა თქმა უნდა, ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური კეთილდღეობისთვის, თუ გამყარებული ლარი, რის შედეგადაც ბიზნესმენების აბსოლუტურ უმრავლესობას დოლარში ვალდებულებები შეუმცირდება? ვფიქრობ, ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ეტაპზე, ვინაიდან სწორედ მწარმოებლურობის უნარი და პოტენციალია ის ფუნდამენტური ფაქტორი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ვალუტის სტაბილურობას და მის სიმყარეს განაპირობებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ეროვნულმა ბანკმა, მონეტარული პოლიტიკის ცვლილებებთან დაკავშირებით, გააკეთოს იმგვარი განმარტებები და ფორმულირებები, რაც გასაგები და ადაპტირებადი იქნება იმ კატეგორიის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, რომელთათვისაც სავალუტო რყევები პირდაპირი ზეგავლენის მომხდენია მათ მოგება ზარალზე, - ამბობს აფბა-ს პრეზიდენტი შოთა გულბანი. (bpn.ge)

# ლარი გამყარებას განაგრძობს



1 ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.1628 ლარი გახდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში ისევ გამყარდა. კერძოდ, 19 მაისისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,1628 ლარი გახდება. კურსი, რომელიც აქამდე მოქმედებდა, 2,1878 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0250 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,4377 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2,4788 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0411 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

# 15 ქვეყანა, სადაც ყველაზე მეტ ღვინოს მოიხმარენ




ღვინის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მსოფლიოს 15 ქვეყნიდან სადაც ყველაზე მეტ ღვინოს მოიხმარენ, 14 ევროპაშია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი სული მოსახლე ყოველწლიურად 10,25 ლიტრ ღვინოს მოიხმარს.

კვლევის მიხედვით, ღვინის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მაღალი ვატიკანშია და ის წელიწადში თითო მოქალაქეზე 54 ლიტრს შეადგენს.

რეიტინგში მეორე ადგილზე მოხვდა ევროპის კიდევ ერთი მცირე ზომის სახელმწიფო ანდორა, სადაც წლიურად ერთი მომხმარებელი საშუალოდ 46 ლიტრ ღვინოს სვამს.

რეიტინგის სამეულშია საფრანგეთიც, წლიურად 45 ლიტრი ღვინის მოხმარებით. (businesscontact.ge)

# „თიბისი ბანკსა" და „m²"-ს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა



ამიერიდან „თიბისი ბანკის" იპოთეკურ ცენტრში მომხმარებლებს დეველოპერული კომპანია „m²"-ის ბინების შეძენა შეეძლებათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხარეებმა თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

აუცილებელია, ვიცოდეთ, რომ მემორანდუმის ფარგლებში მომხმარებლებს საშუალება ექნებათ „m²"-ის დასრულებული და მშენებარე ბინები „თიბისი ბანკის" იპოთეკური სესხით შეიძინონ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბინების შეძენა 1-ელ ივნისამდე სპეციალური ფასითაა შესაძლებელი.

კერძოდ, „თიბისი ბანკის" იპოთეკური სესხით „m² იპოდრომთან 2"-ის პროექტში ერთსაძინებლიანი სრულიად გარემონტებული ბინის შეძენა თვეში მინიმუმ 350 აშშ დოლარად შეგიძლიათ. ამასთანავე, უზრუნველყოფის სახით მხოლოდ შესაძენი მშენებარე ბინაა საკმარისი, რაც ძალიან საინტერესო წინადადებაა იმ კატეგორიის ადამიანებისთვის, რომლებსაც უახლოეს მომავალში ბინის შესყიდვა სურთ.

რაც შეეხება „თიბისი ბანკის" იპოთეკურ ცენტრს, ის 2014 წელს თბილისში, ჭავჭავაძის 11 ნომერში, ბანკის ცენტრალურ ფილიალში ფუნქციონირებს. იპოთეკურ ცენტრში დეველოპერული კომპანიის 75-ზე მეტი სამშენებლო პროექტი და 2 000-ზე მეტი ბინაა წარმოდგენილი.

რასაკვირველია, მომხმარებელს ბინის შეძენის პროცესთან დაკავშირებული წესები დააინტერესებს და მათ თითოეულ კითხვას „თიბისი ბანკის" იპოთეკურ ცენტრსა და „m²"-ის ოფისში ამომწურავად უპასუხებენ, მიიღებთ ინფორმაციას მიმდინარე სამშენებლო პროექტებზე, ისარგებლებთ იპოთეკური ცენტრის მენეჯერის რჩევებით, დაინტერესების შემთხვევაში, ცხადია, შეარჩევთ თქვენთვის სასურველ პროექტს და მიიღებთ საუკეთესო პირობებს იპოთეკურ სესხზე.

ცნობისთვის, იპოთეკური ცენტრის მომსახურება სრულიად უფასოა.

**სიახლესთან დაკავშირებით „თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილე ნინო მასურაშვილი საუბრობს:**

– „თიბისი ბანკი" „m²"-თან ერთად მომხმარებელს სრულიად ახალ პროექტს სთავაზობს, რომელიც დასრულებული და გარემონტებული ბინის შეძენას ბანკის სესხის უზრუნველყოფით გულისხმობს. მნიშვნელოვანია მომხმარებელმა იცოდეს, რომ „m²"-ის ბინების შეძენა 1-ელ ივნისამდე სპეციალური ფასითაა შესაძლებელი. მაგალითად, „თიბისი ბანკის" იპოთეკური სესხით „m² იპოდრომთან 2"-ის პროექტში ერთსაძინებლიანი სრულიად გარემონტებული ბინის შეძენა თვეში მინიმუმ 350 აშშ დოლარად შეგიძლიათ. ამასთანავე, უზრუნველყოფის სახით მხოლოდ შესაძენი მშენებარე ბინაა საკმარისი.

ვფიქრობ, პროექტი არის გაცილებით უკეთესი ჩვეულებრივ სესხთან შედარებით. დაინტერესებული პირები უნდა მიბრძანდნენ „m²" ოფისში, ან „თიბისი ბანკის" იპოთეკურ ცენტრში, სადაც სრულფასოვან ინფორმაციას მიიღებენ, როგორც პირობების, ისე მახასიათებლების და იმ პროცესის შესახებ, რომელიც უნდა გაიარონ და მიიღონ ეს პროდუქტი.

**— აუცილებელია თუ არა, რომ კონკრეტულად ამ პროდუქტის მყიდველს ხელფასი „თიბისი ბანკის" ოფისში ერიცხებოდეს?**

– არ არის სავალდებულო, რომ პროდუქტის მყიდველი ჩვენი მომხმარებელი იყოს, უბრალოდ, თუ ხელფასი აქ, „თიბისი ბანკში" ერიცხება, სესხის დაფარვა გამარტივებულია იმიტომ, რომ პირდაპირ ანგარიშიდან ჩამოეჭრება სესხის მომსახურების თანხა და რაც მთავარია, უკვე დღეიდან ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დაინტერესებულია პროექტით, შეუძლია ისარგებლოს ამ ყველაფრით.

**ირაკლი ბურდილაძე, „m² უძრავი ქონების" გენერალურ დირექტორი:**

– ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტით ისეთი წამყვანი ბანკი დაინტერესდა, როგორიც „თიბისი ბანკია". ვფიქრობ, „თიბისი ბანკი", რომელსაც საკმაოდ დიდი ბაზა აქვს, პროექტს დიდ სტიმულს მისცემს.

**— პირობები, რომელსაც პროექტის ფარგლებში მომხმარებელს სთავაზობთ, ალბათ, მათთვის მომხიბვლელი იქნება.**

– დიახ, როგორც იცით, დამატებითი უზრუნველყოფის ჩადება მომხმარებელს არ მოუწევს, რაც შეეხება თანამონაწილეობას, ამ ყველაფერს განსაზღვრავს თვითონ ბანკი.

ჩვენი მთავარი ინტერესი ის არის, რომ გავიდეთ ხალხის იმ კონტინგენტზე, რომლებზეც აქამდე არ ვიყავით გასული და რაც მთავარია, ეს პროგრამა მოიცავს არა მარტო დასრულებული ბინების შეძენას, ამას მინდა ხაზი გავუსვა, არამედ მშენებარე პროექტებშიც შესაძლებლობა ექნებათ მხოლოდ მშენებარე ბინის უზრუნველყოფით აიღონ იპოთეკური სესხი და ვფიქრობ, ეს აქტი ძალიან მნიშვნელოვანია.

*ვიკა ქათამაძე*

## მსოფლიო ბანკი ქვეყნებს „განვითარებად“ და „განვითარებულ“ კატეგორიად აღარ დაყოფს




მსოფლიო ბანკის განცხადებით, მომავალ რეიტინგებში ქვეყნებთან მიმართებაში „განვითარებად“ და „განვითარებულ“ კატეგორიას აღარ გამოიყენებს.

ბანკის ინფორმაციით, World Development Indicators-ის 2016 წლის გამოცემაში მსოფლიო ბანკი მონაცემების წარდგენისას აღარ დაყოფს ქვეყნებს „განვითარებად“ და „განვითარებულ“ კატეგორიებად.

– ეს ცვლილება ევოლუციურ აზროვნებად ითვლება სიღარიბისა და კეთილდღეობის გეოგრაფიული დისტრიბუციის კუთხით, მაგრამ რადიკალურად ჟღერს, რადგან არავინ შეთანხმებულა ამ ტერმინების მნიშვნელობაზე, - აცხადებს მსოფლიო ბანკი.

საერთაშორისო მონეტარული ფონდი აცხადებს, რომ განვითარებულ და დამწყებ საბაზრო ეკონომიკებს შორის განსხვავებას რაიმე მკაცრი კრიტერიუმებით არ აფასებენ.

– გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ გააჩნია ოფიციალური განმსაზღვრელი, რომელიც განვითარებად ქვეყანას გამოავლენს. მაგალითად, მალავიც და მალაიზიაც ორივე განვითარებად ქვეყნებში გადის მაშინ, როდესაც მალაიზია უფრო ჰგავს ამერიკას, ვიდრე მალავი. არ არის კარგი, როდესაც გაჭირვებულ ქვეყნებს, ყველას ერთ ჯგუფში ვანაწილებთ, - აღნიშნა მსოფლიო ბანკის სტატისტიკის ოფიცერმა და უფროსმა ეკონომისტმა უმარ სერაჯადინიმ. (bpn.ge)

## ევროპის ცენტრალურ ბანკს უფლებამოსილების გადაჭარბებაში ადანაშაულებენ



გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა, ინფორმაცია რომ ევროპის ცენტრალური ბანკის წინააღმდეგ სარჩელით მოქალაქეთა ჯგუფი მიმართავს. მოსარჩელეები ევროპის ცენტრალურ ბანკს უფლებამოსილების გადაჭარბებაში ადანაშაულებენ.

მათი აზრით, როდესაც ბანკი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დიდი მოცულობით ობლიგაციებს ყიდულობს მათი უფლებები ირღვევა და ასევე როცა კერძო კომპანიების ფასიანი ქაღალდების შეძენას აპირებს. მათი აზრით, ამ გზით, ირღვევა ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკას შორის საზღვარი და ეროვნული მთავრობების პრეროგატივა.

გასული წლის ივნისში ევროკავშირის სასამართლომ ლუქსემბურგში ასეთივე სარჩელის მიღებაზე უარი თქვა. მაშინ პირობაც დასახელდა, რომლის თანახმადაც ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ეროვნული მთავრობების პირდაპირი დაფინანსება უნდა შეწყვიტოს. (businesscontact.ge)

## აპრილში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა 4 პროცენტით გაიზარდა



წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, აპრილში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა 4 პროცენტით გაიზარდა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აპრილში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, 2016 წლის აპრილში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 94,8 მილიონი აშშ დოლარი, ანუ 214,7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 4,0 პროცენტით (3,7 მილიონი აშშ დოლარით) მეტია 2015 წლის აპრილის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

სებ-ის ინფორმაციით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 90,3 პროცენტი იმ 12 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ აპრილში 1 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 12 ქვეყანაზე გასული წლის აპრილში მთელი ფულადი გზავნილების 91,8 პროცენტი მოდიოდა. იმ ქვეყნების ხუთეული, საიდანაც საქართველოში 2016 წლის აპრილში ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი შემოვიდა, ასე გამოიყურება: რუსეთი (31,6 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთი (11,8 მლნ აშშ დოლარი), აშშ (9,9 მლნ აშშ დოლარი), იტალია (9,8 მლნ აშშ დოლარი), თურქეთი (7,2 მლნ აშშ დოლარი). (bpn.ge)

აქ თქვენი რეკლამის ადგილია
577 44 44 42



## 3 რეკომენდაცია ხელისუფლებას აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით აძლევს



„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით ხელისუფლებას 3 რეკომენდაციას აძლევს.

როგორც ორგანიზაციის პროექტების კოორდინატორმა ლევან ნატროშვილმა განაცხადა, ონალაინთამაშებთან (ონლაინტოტალიზატორი, ონლაინკაზინო) დაკავშირებით პირველი რეკომენდაცია რეგისტრაციის პროცესს ეხება. მისი თქმით, პირადი ნომრის ადგილას ნებისმიერი 11-ნიშნა რიცხვის შეყვანა საკმარისია, რათა ონლაინთამაშებისთვის რეგისტრაცია გაიარო და ითამაშო.

– ეს იყო ხილული პრობლემა და მისი აღმოფხვრა მნიშვნელოვანია, რადგან რეგისტრაციის ხარვეზის გამო არასრულწლოვნებს შეიძლება ხელი მიუწვდებოდეს ამ თამაშებზე და ეს აუცილებლად უნდა აღმოიფხვას, - განაცხადა ნატროშვილმა.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, სახელმწიფომ დეტალურად უნდა შეისწავლოს დარგი და ის პრობლემები, რაც შეიძლება არსებობდეს.

– შეზღუდვებს რაც შეეხება, ჩვენი პოზიცია არის ის, რომ პირველ რიგში, სახელმწიფომ ეს საკითხი დეტალურად უნდა შეისწავლოს. თუ არის, რა პრობლემებია აზარტული თამაშების კუთხით, იქნება ეს ონლაინ თუ არა ონლაინთამაშები, როგორია მოსახლეობის ჩართულობა, რა იწვევს პრობლემებს, საიდან მომდინარეობს და გარკვეული შეზღუდვებისა თუ რეგულაციების დაწესება ამის მერე იქნება გამართლებული. მსოფლიოში აზარტული თამაშებთან დაკავშირებით ბევრნაირი რეგულაცია არსებობს. მათი ავტომატურად გადმოტანა ყოვლად გაუმართლებელი იქნება, ამიტომ პირველ რიგში, საჭიროა ამ საკითხის შესწავლა, - ამბობს ნატროშვილი.

მე-3 რეკომენდაცია ეხება ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ლევან ნატროშვილის თქმით, იმ ორგანიზაციის ანგარიშში, რომელიც ევროსაბჭოს ქვეყნებში ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში გატარებულ ღონისძიებებს აფასებს, საუბარი იყო, რომ ამ კუთხით სათანადო მექნიზმები არ არის, რადგან არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ სახელმწიფოს რეაგირება მოეხდინოს, გამოეძიებინოს, ფულის გათეთრების კუთხით ვიღაცა დაესაჯოს. ამ მხრივ საქართველოში რისკები მაღალია.

კითხვაზე, უნდა აკრძალოს თუ არა მედიამ ონლაინთამაშების რეკლამირება, ლევან ნატროშვილი მიიჩნევს, რომ პირველ რიგში, საჭიროა შესწავლა, რათა მივაგნოთ იმ გზებს, რომლითაც ეს პრობლემები უნდა აღმოიფხვრას.

– ფრაგმენტულად რაღაც რეგულაცია რომ შემოვიტანოთ, შევზღუდოთ, ავკრძალოთ, მედიამ თვითონ რაღაც გააკეთოს, არ ვიცი, რამდენად ეფექტური იქნება. შეიძლება იყოს ეფექტიანი და შეიძლება - არა. ვიდრე არ იქნება შესწავლილი ეს საკითხი, რთული იქნება იმის თქმა, რა მექანიზმი იქნება ყველა უფრო გამართლებული, - განაცხადა ნატროშვილმა. (bpn.ge)

## I კვარტალში საქართველოში დაკლული პირუტყვის რაოდენობამ 1 677 685 სული შეადგინა

2016 წლის I კვარტლის მონაცემებით, საქართველოში დაკლული პირუტყვის რაოდენობამ 1 677 685 სული შეადგინა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსხურის მონაცემებით, აქედან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 45 828 - სულია, ცხვარი და თხა - 1 830, ღორი - 18 035, ფრინველი - 1 611 361, ხოლო სხვა დანარჩენი - 631.

წარმოებულმა ხორცმა ჯამში 7 259 927 კგ. შეადგინა. აქედან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი - 4 132 500 კგ-ია, ცხვრისა და თხის ხორცი - 27 308 კგ, ღორის ხორცმა - 942 069კგ, ფრინველის ხორცმა - 2 153 935 კგ, ხოლო სხვა დანარჩენმა - 4115 კგ. შეადგინა.

ამავე მონაცემების მიხედვით, სასაკლაოს მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით შესყიდულმა საქონელმა, ჯამში, 445 523 სული შეადგინა. მომსახურების საშუალო ფასი (ლარი/ერთეულის დაკვლაზე) — 22,2 ლარი იყო, ხოლო სუბიექტთა რაოდენობა, რომელთაც მომსახურება გაეწია, სულ — 23095 ერთეული. ჩატარებული კვლევის მიხედვით, შინამეურნეობამ 5525 ერთეული შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის შემთხვევაში — 24,7 ლარია, ცხვრის ან თხის დაკვლა — 9,3 ლარი, ხოლო ღორის დაკვლა — 23,8 ლარია.

2016 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოებზე დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 802 ერთეულს შეადგენს. (bpn.ge)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**ექსპერტი ჯანდაცვის საკითხებში, სერგო ჩიხლაძე სოციალურ ქსელში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შესახებ სკანდალურ განცხადებას აკეთებს:**

„ამ ქვეყანაში არც კულტურას და არც სასამართლოს (ისევე, როგორც ბევრ სხვა დარგს) რომ „დედა აღარ ჰყავს", ეს ფაქტიც მოწმობს. 15 მაისს ოპერისა და ბალეტის თეატრში ირჟი კილიანის საღამოს შემდეგ, ოპერის წითელ დარბაზში ასამდე მოსამართლის დღე, ამას დაემთხვა გამოჩენილი ჩეხი ქორეოგრაფის, ირჟი კილიანის საღამო, რომელიც ნინო ანანიაშვილთან თანამშრომლობს 2008 წლიდან და თბილისში ხშირად ჩამოდის. ამჯერად მან წარმოადგინა სპექტაკლი „სარაბანდა". „მოსამართლეთა ასოციაციის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ეს მომენტი ხელიდან არ გაეშვა და მოსამართლეებს ოპერის თეატრში მოუყარა თავი. სერგო ჩიხლაძის თქმით, ეს ხდება მაშინ, როდესაც ოპერის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ არაერთი საქმეა შესული „მოსამართლეთა ასოციაციამ" და ბუნებრივია, იყვნენ მოსამართლეები. ღმერთო ჩემო, ჩვენ რაში გვაინტერესებს, ვინ სად ხარშავს ხინკალს, ოპერა რა შუაშია? თუ ბოდიშს არ მოიხდიან ამ ინფორმაციის გამავრცელებლები, მერე სხვანაირად ვისაუბრებთ".

ბუნებრივია, ქეიფისა და ღრეობის ფაქტს ასევე არ ადასტურებს „მოსამართლეთა ასოციაციის" ხელმძღვანელი და მოსამართლე მირანდა ერემაძე. დავუშვათ, არ იყო ღრეობა და მწვადის შიშხინი, ვინ გადაიხადა 350 კაცზე ან ალა-ფურშეტის, ან ვლია აზრად, ეს ჩვენი პროფესიული დღე იყო, მივულოცეთ ერთმანეთს და მორჩა, სულ ეს იყო".

კიდევ ერთი დეტალი, რომელიც „ალიამ" აღმოაჩინა და რომელიც შეიძლებოდა, ჩიხლაძის გაღიზიანების საბაბი გამხდარიყო. სერგო ჩიხლაძე მიიჩნევს, რომ მაშინ, როცა სასამართლოში ოპერის თეატრის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ არაერთი საჩივარია შესული, მოსამართლეები იგივე ოპერის თეატრის წითელ დარბაზში არ უნდა აწყობდნენ „ხინკალფართს" და არ უნდა დასეირნობდნენ ლუდის „ბოკ-

# „ოპერის წითელ დარბაზში ასამდე მოსამართლემ (!) იქეიფა ხინკლებით, მწვადებით, ღვინით, ლუდით და ა.შ."

## რა აღნიშნეს მოსამართლეებმა 15 მაისს ოპერაში?



სერგო ჩიხლაძე





თლემ (!) იქეიფა ხინკლებით, მწვადებით, ღვინით, ლუდით და ა.შ. (სულ 300 ბილეთი ჰქონიათ ნაყიდი სასამართლოს წარმომადგენლებს). ჯერ ერთი, რატომ უნდა მოგინდეს ოპერის თეატრში ქეიფი, ღრეობა და ხინკლის სუნად შენობის აქოთება?! და ასეთი შეგნების მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების იმედზე უნდა ვიყოთ?!

მეორეც, ოპერის ხელმძღვანელობა რას აკეთებს? დუქანი ჰგონიათ ეს დაწესებულება თუ თავიანთი საკუთრება?! თუმცა, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც თეატრის ხელმძღვანელობა არამიზნობრივად იყენებს თეატრის შენობას, გახსნამდე „ვიღაცას" ქორწილიც გადაუხდია შიგნით"!

ეს ინფორმაცია ასევე გაავრცელა საინფორმაციო სააგენტო „არტ ინფო"-მ, რომელსაც ოპერის თეატრის ხელმძღვანელობა სასამართლოში უჩივლებს. როგორც თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და განვითარების, მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თამარ ჩიხლაძე ამბობს „ალიასთან" საუბარში, ისე გავრცელდა აღნიშნული ინფორმაცია, მასთან არავის დაურეკავს და არ გადაუმოწმებია.

და მაინც, რა მოხდა იმ დღეს ოპერის თეატრში? ნათქვამია, კვამლი ცეცხლის გარეშე არასოდეს ჩნდებაო. 15 მაისი გახლავთ მოსამართლეს სასამართლოში:

„მათ შორის, 2 საქმეა დეპარტამენტის უფროსის წინააღმდეგ, უკანონო განთავისუფლებების თაობაზე. ასეა, ოპერის დირექტორად რომ ლელვს დანიშნავენ (ალექსანდრე მოწონელიძე. – გ.ზ.), რომელმაც მანამდე ოპერის მისამართიც კი არ იცოდა, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელი (დავით კინწურაშვილი. – გ.ზ.) ერთი საშუალოზე დაბალი დონის არშემდგარი დირიჟორია, რომელიც ფალიაშვილის ნაწარმოებებსაც კი ვერ ჩამოთვლის, სხვებზე ლაპარაკიც არაა, გასაკვირიც არ არის. ნუ კულტურის მინისტრი კიდევ მთლად კორუფციის მამაა და ასე შემდეგ".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოპერის თეატრის ხელმძღვანელობა აპირებს, ხინკლისა და მწვადის თემაზე სასამართლოს მიმართოს.

თამარ ჩიხლაძე: „დიახ, სიმართლეს სასამართლოში დავამტკიცებთ. ვიღაც განაწყენებულმა რაღაცა დაწერა, ეს ერთია, მაგრამ ჟურნალისტის მოვალეობაა, ინფორმაცია გადაამოწმოს ან ერთ მხარესთან, ან მეორე მხარესთან და მერე გამოაქვეყნოს. ეს იყო პროფესიული დღე, კონფერენცია, რომელიც დასრულდა „დახურული ტორტით". იყო ფურშეტი და ტორტი, რა ხინკალი და რა მწვადი? ეს ღონისძიება გამართა დარბაზის დაქირავების ფული? ქალბატონი მირანდა „ალიასთან" ამბობს, რომ ყველაფერი გაკეთდა ასოციაციის ხარჯებით:

„ეს იყო საზეიმო შეხვედრა მოსამართლეებთან, ყველა რეგიონიდან იყვნენ ჩამოსულები. ჩვენი ასოციაცია არსებობს თვითდაფინანსებაზე, ყოველთვიურად მოსამართლეები ვიხდით საწევროს – 50-50 ლარს. ყველა ღონისძიების ჩატარება ხდება საკუთარი ხარჯებით. ამას ვამბობ ხაზგასმით, რომ არავის ეგონოს, თითქოს ბიუჯეტის ფული დავხარჯეთ. ეს იყო აკადემიური მიღება და არა ღრეობა... ქეიფი რომ გვდომებოდა, ნამდვილად მოვძებნიდით შესაფერის ადგილს, ამის გამო არ შევიდოდით ოპერის თეატრში. მოსამართლეების გარდა, ამ ღონისძიებას საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და ხინკალს ვერ შევთავაზებდით. ტორტი გავჭერით, ერთმანეთს მივულოცეთ, დავიშალეთ და საღამოს 7 საათზე ისევ შევიკრიბეთ, ანუ დავესწარით ირჟი კილიანის სპექტაკლს. დიდი მადლობა, რომ ჩვენი გვერდის ავლით არ აკეთებთ სტატიას და აფიქსირებთ ჩვენს პოზიციასაც. მე პირადად მინდოდა, რომ აკადემიური ყოფილიყო ეს ღონისძიება და ასეც გამოვიდა. მთავრობიდანაც კი არ დაგვიპატიჟებია არავინ, არც მოგვსლებით". ნუ, ახლა შეიძლება გაანიავო და არც არაფერი დაშავდეს, მაგრამ მაინც „ტეხავს". რაც შეეხება ჩასაფრების საბაბს, ის გახლავთ, რომ სერგო ჩიხლაძის მეუღლე, სოფო კუპრაძე მუშაობდა ოპერის თეატრში და შემდეგ გაათავისუფლეს. ქალბატონმა სოფომ მიმართა სასამართლოს, სადაც მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ ნაწილობრივ დაუკმაყოფილა სარჩელი:

„ბათილად იქნეს ცნობილი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის 2014 წლის 9 ოქტომბრის ბრძანება სოფო კუპრაძის განთავისუფლების შესახებ. თეატრს მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ დაეკისროს კომპენსაციის სახით თანხის გადახდა 12 თვის ხელფასის ოდენობით".

რაც შეეხება თეატრის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას და დასჯას, ეს მოსამართლე ურთმელიძემ უკვე აღარ გაითვალისწინა, ანუ არ დააკმაყოფილა. როგორც ხედავთ, ოპერის თეატრის ხელმძღვანელობასთან დაპირისპირება ჯერ კიდევ წლების წინ იღებს სათავეს, რაც არ გამორიცხავს ჩასაფრების პოლიტიკას, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ სურვილის შემთხვევაში, უარს იტყოდნენ ხინკალსა და მწვადზე, თუნდაც ოპერის წითელ დარბაზში.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სააკაშვილმა ნაძარცვი ფულის ნაწილი გამოიყენა უკრაინაში, მეიდანის გარკვეული ხარჯების გასაწევად"



საქართველოს განვითარების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ყოფილი პარლამენტარი ირაკლი გოგავა აცხადებს, რომ უკრაინაში ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის შემდეგ არაფერი შეცვლილა.

1999 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი, უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ვიქტორ იუშენკოს მრჩეველი მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის მმართველობის შემდეგ, სააკაშვილი მხოლოდ საკუთარი პოზიციების გამყარებითაა დაკავებული.

– სააკაშვილმა თავიდანვე მიიღო ფინანსური მონაწილეობა ევრომეიდანის ორგანიზებაში. მან საქართველოში ნაძარცვი ფულის ნაწილი გამოიყენა უკრაინაში მეიდანის გარკვეული ხარჯების გასაწევად. გარდა ამისა, ის დაეხმარა პოროშენკოს გაპრეზიდენტებაში. ამ ორი წვლილის სანაცვლოდ, მან მიიღო ტორტის ნაჭერი უკრაინაში - ოდესის გუბერნატორობის სახით. ოდესაში ბევრი მეგობარი მყავს, უკრაინაში ბევრი წელი გავატარე და რეალურად ვიცი, რომ უკრაინაში არანაირი ცვლილება, არანაირი შვება ოდესის მოსახლეობისთვის სააკაშვილს არ მოუტანია, - განაცხადა გოგავამ.

მისი თქმით, უკრაინაში სააკაშვილის მმართველობის შემდეგ, არც ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულა, ბიზნესკლიმატის შეცვლაზე კი საუბარიც ზედმეტია.

– სააკაშვილი ელემენტარულად ცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტი სარფიანი ადგილები გააკონტროლოს, მაგალითად, ოდესის საბაჟო, ოდესის პორტი, რის საშუალებასაც უკრაინული ელიტა არ აძლევს და მიმდინარეობს მთელი ბრძოლა ამ თემაზე, - აღნიშნა გოგავამ. (pia.ge)

## სოსო მანჯავიძე: მშვიდობის ხიდს მხოლოდ 12 თვე ჰქონდა გარანტია



თბილისის საკრებულოს წევრ სოსო მანჯავიძის განცხადებით, მშვიდობის ხიდს საგარანტიო ვადა მხოლოდ 12 თქვე ჰქონდა, შესაბამისად, მას ექსპლუატაციის ვადა გაუვიდა.

დეპუტატის განმარტებით, მშვიდობის ხიდის საყრდენები მოშლილია და საზგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

– ხიდს აგებიდან მხოლოდ 12 თვე ჰქონდა საგარანტიო დრო. ის საყრდენებშია დაშლილი. ამ ეტაპზე საკითხს შევისწავლი და ანგარიშს ამ კვირაში გამოვაქვეყნებ, - აცხადებს მანჯავიძე.

ცნობისთვის, თბილისში, მდინარე მტკვარზე, მშვიდობის ხიდი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით 2009-2010 წლებში აიგო. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ტრაგედია რუსთავში - 14 წლის მოზარდი ხელოვნურ ტბაში ბანაობისას დაიხრჩო




რუსთავის ცენტრალურ პარკში არსებულ ტბაში მოზარდების ბანაობა ტრაგიკულად დასრულდა – 14 წლის ნ.ს. ხელოვნურ ტბაში ბანაობის დროს დაიხრჩო.

წყლის ჩამკეტ მოწყობილობასთან 3 არასრულწლოვანი ბანაობდა, მათგან ერთ-ერთი, 14 წლის მცირეწლოვანი ბეტონის ჯებირიდან ტბაში გადახტა და გარდაიცვალა.

სასწრაფო სამედიცინო ეკიპაჟის მისვლამდე მოზარდი ტბის დაცვამ გამოიყვანა, თუმცა მას სასიცოცხლო ნიშნები არ აღენიშნებოდა.

რაც შეეხებათ გარდაცვლილის მეგობრებს, ორივე მათგანი მიღებული შოკის გათვალისწინებით, რუსთავის ბავშვთა საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მალევე გაწერეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გარდაცვლილი მოზარდი რუსთავის №5-ე საჯარო სკოლის მოსწავლე იყო. (ნიუპოსტი)

## აპირებს თუ არა გიორგი ქადაგიძე პოლიტიკაში მოსვლას



აპირებს თუ არა საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი პოლიტიკაში მოსვლას. ამასთან დაკავშირებით გიორგი ქადაგიძე „ფეისბუკზე" სტატუსს აქვეყნებს:

– მოთხოვნა „ახალ სახეებზე" პოლიტიკაში.

თუ ხელოსანი გვჭირდება ვეძებთ გამოცდილს და მცოდნეს.

თუ ექიმი გვჭირდება ვეძებთ გამოცდილს და მცოდნეს.

თუ მასწავლებელი გვჭირდება ვეძებთ გამოცდილს და მცოდნეს.

თუ თანამშრომელი გვჭირდება ვეძებთ გამოცდილს და მცოდნეს.

და პოლიტიკაში გვინდა ახალი და გამოუცდელი?!

რა თქმა უნდა არა, განახლების ქვეშ იგულისხმება მცოდნე, გამოცდილი და ახალი ენერგიის მატარებელი.

ვუყურებ ნაციონალური მოძრაობის „ათეულის" პრეზენტაციას და ვგულშემატკივრობ არა მხოლოდ იმიტომ რომ ბევრი ჩემი მეგობარია, არამედ პირველ რიგში მათი პროფესიონალიზმის და პოლიტიკური ნების გამო.

P.S. პრეზიდენტ ობამას დავესესხე პირველ ნაწილში ჰილარი კლინტონი კრიტიკაზე. (ნიუპოსტი)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# ბიძინა ივანიშვილის 15 ტყუილი





„ალიამ" მკითხველს ერთხელ უკვე შეახსენა ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის უმთავრესი დაპირებები ყველა სფეროში და ისიც დავწერეთ, მათგან რა შესრულდა და რა – არა. ამჯერად კი მკითხველს იმ დაპირებებს შევახსენებთ, რომლებიც სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში გაიცა, რომელთა შეუსრულებლობამ, ხალხს ყოფა გაუუარესა, შავ დღეში ჩააგდო, ისედაც გაღატაკებული მოსახლეობა კიდევ უფრო გაალატაკა. ეს დაპირებები პირადად ბიძინა ივანიშვილმა გასცა და არა გუნდის სხვა ლიდერებმა. ივანიშვილი 1 წელი იყი პრემიერ-მინისტრის პოსტზე და მერე გადადგა, სახლში წავიდა, თავად ფუფუნებაში ცხოვრობს და ასეულ ათასობით ადამიანი ლუკმაპურს შენატრის. ეს კაცი გაექცა აღებულ პასუხისმგებლობას, მოატყუა ის ხალხი, ვინც ხელისუფლებაში დიდწილად, სწორედ ამ დაპირებების გამო მოიყვანა. ივანიშვილს არც მედიაში, არც საექსპერტო და პოლიტიკურ წრეებში არ აკლია „გამთეთრებლები", გავრცელებული ინფორმაციით, ივანიშვილი მათ დიდ ნაწილს აფინანსებს კიდეც და ეს ხალხი ყველანაირად ცდილობს, ექსპრემიერს პასუხისმგებლობის ტვირთი შეუმსუბუქოს, ზოგი იმასაც აცხადებს, რომ ივანიშვილი ბევრს არაფერს დაჰპირებია ხალხს და დაპირებების დიდი ნაწილი „ქართული ოცნების" სხვა ლიდერებმა გასცეს მასთან შეუთანხმებლად.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კი, ივანიშვილის რჩეული, შარშან ცინიკურად აცხადებდა, რომ „თითქმის ყველა ის დაპირება, რომელიც ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია „ქართული ოცნების" მიერ იყო გაცემული, ეტაპობრივად შესრულდა და ეს პროცესი გრძელდება. ეს დაპირებები გათვლილი იყო ოთხწლიან მაჩვენებელზე". ღარიბაშვილის ეს განცხადება იყო ქართველი ხალხის დაცინვა, აბუჩად აგდება. როგორ, ქვის ხანაში ხომ არ ვცხოვრობთ, რომ 4 წლის წინათ რასაც ხალხს ჰპირდებოდა ივანიშვილი, ის ვერ გავიხსენოთ? კრეტინები ვართ, რომ რაც არ შესრულდა, იმ დაპირებაზე ვთქვათ, შესრულდაო და თავი დავაქნიოთ? ბიძინა ივანიშვილს ხალხის მასხრად აგდება და აბუჩად აგდება არ შერჩება, აგერ არჩევნებზე ხალხი საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდ მატყუარასა და მის „ქართულ ოცნებას" საკადრის პასუხს გასცემს. მოდით, ახლა ხალხსა და ივანიშვილის ფასიან თუ უფასო დამცველებს შევახსენოთ, რა დაპირებები გასცა უშუალოდ მათმა ბელადმა, რომ მერე არ თქვან, არა, ამ დაპირებებს კოალიციის სხვა ლიდერები იძლეოდნენო.

მაშ, ასე:

1. ჩვენი გეგმა თავიდანვე ითვალისწინებს, რომ უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები და ის ჩვენს ქვეყანაში ათეულობით ათასი იქნება. თითოეული მოქალაქე იპოვის საკუთარი გამოცდილების ადეკვატურ სამუშაო ადგილს. ჩემს გუნდთან ერთად, თქვენთან ერთად, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შესაძლებელია. რეალური პოლიტიკა, რეალური ნაბიჯები, რასაც გპირდებით ჩვენ და აუცილებლად შევძლებთ კიდეც. გამარჯვებისთანავე ღირსეული დასაქმება ყველას! ჩვენ ვიცით, რეალურად როგორ შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები. ჩვენ ვიცით, როგორ ავიხდინოთ ქართული ოცნება. 2. ჩვენ ვპირდებით ჩვენს ხალხს, რომ მშენებლობა საქართველოში არა თუ გაჩერდება, არამედ უფრო მასშტაბური გახდება და გაცილებით მეტი ადამიანი დასაქმდება. 3. ხელისუფლება ხალხს უნდა ემსახურებოდეს და არა ხალხი ხელისუფლებას. 4 გაიცემა 1, 2, და 3%-იანი გრძელვადიანი სესხები. ეს იქნება უმეტესწილად უფასო და სადაც იქნება პროცენტი, ეს იქნება 1, 2 და 3% გადასახადი მაქსიმუმ. 5. ასეულობით და ათასობით საწარმო უნდა გაიხსნას და ეს იქნება რეალური. ყოველთვიურად ასობით საწარმო უნდა იხსნებოდეს. 6. მოსახლეობას იპოთეკური სესხების პრობლემას მოვუგვარებთ... ამ პრობლემის გადაჭრას აჭარიდან ვიწყებთ, სადაც ამ პრობლემას უახლოეს ერთ კვირაში მოვაგვარებთ და შემდეგ მუშაობის დაწყება მთელ საქართველოშიც იქნება შესაძლებელი. 7. დაიწევს ფასი კომუნალურ გადასახადებზე. მე გპირდებით, რომ ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას. მე გპირდებით, რომ ჩვენ შევამცირებთ გაუმართლებლად მაღალ კომუნალურ გადასახადებს. 8. ნახავთ, როგორ დაიწევს ფასი ძალიან ბევრ პროდუქტზე: პირველადი მოხმარების პროდუქტებზე, ბენზინზე, ელექტროენერგიაზე, სადაც ხელოვნურად აქვთ გაზრდილი ფასები და ფულს აკეთებენ. 9. ჩვენ დავადგენთ საარსებო მინიმუმის ახალ, რეალურ ზღვარს. პენსია არ იქნება იმაზე ნაკლები, ვიდრე რეალური საარსებო მინიმუმია... ეს იქნება დაახლოებით 200-220 ლარი. 10. 11. ჩვენ აუცილებლად ვიზრუნებთ და გამოვნახავთ ბაზარს და გლეხს გაუსაღებელი მოსავალი აღარ დარჩება. საქართველოში წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა ხილი და ბოსტნეული დიდ შემოსავალს მოუტანს გლეხს, ფერმერსა და მთელ ქვეყანას. ჩვენ ამას გპირდებით!.. ჩვენ ვიცით, როგორ გავაძლიეროთ სოფელი! საქართველოში ყველა გლეხს ექნება დაკანონებული მიწა. 12. ზუგდიდის ეკონომიკაში უახლოს მომავალში 100 მილიონ ლარს ჩავდებთ. 13. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ რუსთაველი მეტალურგების, ინჟინრების, ქიმიკოსების მონაწილეობით დავიწყოთ ქართული სოფლისთვის მანქანა-დანადგარების, შხამ-ქიმიკატების, სარწყავი მილების და სხვა საჭირო ინვენტარის წარმოება... რუსთავი შესაძლოა, გახდეს პროფესიული განათლების ცენტრი, სადაც ახალგაზრდები არა მარტო თეორიულ ცოდნას მიიღებენ, არამედ შესაბამის პრაქტიკასაც გაივლიან სხვადასხვა ტიპის საწარმოებში. 14. 100 000 სახლი დევნილებს! ძალიან ბევრი სახლი იქნება ასაშენებელი და რეალურად უნდა აშენდეს არანაკლები 100 ათასი სახლისა. 15. 3-4 წელიწადი ველოდეთ ელიტური კარტოფილის ჯიშის თესლის გამოყვანას და გაისისთვის იმდენი გვაქვს, რომ მთელ საქართველოს ეყოფა და დავურიგებთ უფასოდ.

აი, ეს დაპირებები საკუთარი პირით გასცა ივანიშვილმა და მათგან, ზოგი მცირედით შესრულდა, ზოგი – საერთოდ არა. ვიმეორებ, სწორედ ამ დანაპირების შეუსრულებლობის გამოა, ხალხი ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში რომ ცხოვრობს. ივანიშვილისთვის რომ გეკითხათ, მას ეტაპობრივად გაწერილი ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმა. „რაც შეეხება ეკონომიკის ზრდას და მის ტემპებს, პირველი წელიწადი იქნება რთული, მეორე წელი იქნება საგრძნობლად უკეთესი. მესამე წელს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკეთესობას საკუთარ თავსა და საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს. მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგი", – ამას ივანიშვილი 2012 წლის 24 დეკემბერს აცხადებდა. დღეს ამ სიტყვებზე შესაძლოა, მხოლოდ მწარედ ჩაგეცინოს, რომ ასე უსინდისოდ მოგატყუა კაცმა, რომელსაც ხალხის უპრეცედენტო ნდობა და მხარდაჭერა ჰქონდა, ბიძინა ივანიშვილის დაპირებული მეოთხე წელიწადი კი „ძალიან კარგი" კი არა, საშინელი და აუტანელია, ისევე როგორც ივანიშვილისა და მისი „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ყოფნის ყოველი წელიწადი. არც ხალხი დასაქმებულა, არც ქარხნები აშენებულა, არც კომუნალური გადასახადები შემცირებულა, პირიქით, ყველაფერი გაძვირდა, პენსია 160 ლარია და არა 200-220, არც დევნილებს გადასცემიათ უფასოდ 100 000 სახლი, არც სოფლის მეურნეობის დაპირებული პროექტების უდიდესი ნაწილი განხორციელებულა, არც იპოთეკით დაზარალებულთა პრობლემები მოუგვარებია სახელმწიფოს. დღეს ნახევარ მილიონამდე იპოთეკარია საქართველოში და მათი ბედი სახელმწიფოს ფეხებზე ჰკიდია, აი, 1-3%-იანი საბანკო კრედიტები კი ანეკდოტად შემორჩება ქართულ ფოლკლორს...

სამაგიეროდ, თავად ბიძინა ივანიშვილი არ იკლებს არაფერს. არა, არც აქამდე აკლდა რამე, მაგრამ უფრო კომფორტულად ცხოვრება მოინდომა და თანაც, სახელმწიფოს ხარჯზე. ჯერ იყო და თბილისის ბოტანიკურ ბაღს, თაბორის მთის მიმდებარე 4 ჰექტარი მიწა ასევე 4 ჰექტარში გაუცვალა და საკუთარი ეზო-კარმიდამო შიგ ბოტანიკურ ბაღში უნდა გააფართოოს. ამის მერე ისევ ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ, თბილისი-კრწანისის გზაზე იყიდა 29 ჰექტარი მიწა, 1 კვ.მ 21 ლარად, საბაზრო ფასზე ძალიან იაფად და ამით, მინიმუმ, 80 ათასი ლარით აზარალა სახელმწიფო. ეს მარტო აუქციონზე ამ მიწის ჩალის ფასად ყიდვით მიყენებული ზარალია ბიუჯეტისთვის. მართლა სირცხვილია რა, როცა ერთი კაცის, თანაც მილიარდერის ახირებებს ეწირება ისედაც გაძვალტყავებული თბილისის ბიუჯეტი.

ბიძინა ივანიშვილმა ხალხი კი „გადააგდო", სამაგიეროდ საკუთარი პოლიტიკური გუნდის წევრებს აუსრულა ქართული ოცნება. მინისტრებად და პრემიერ-მინისტრებად ისეთი ხალხი დანიშნა, რომლებიც არჩევნებამდე მისი „ქართუ ბანკის" პრეზიდენტობაზე ოცნებასაც ვერ ბედავდნენ, რომლებიც „ქართუ ბანკისა" თუ „ქართუ ჯგუფის" დაცვის უფროსობას ნატრულობდნენ. თუ ვინმე ჰყავდა საკუთარ ბიზნესში დასაქმებული, ლამის ყველას პოლიტიკაში მოუყარა თავი და ქვეყნის მართვის სადავეები ჩაუგდო ხელში (ერთგული ადამიანის მოყვანა დასაძრახი ნამდვილად არ არის, უბედურება ისაა, რომ უნიათოები, არაპროფესიონალები აღმოჩნდნენ. – ლ.ჯ.). მათ გარდა, ჭრელ „ქართულ ოცნებაში" ისეთი ხალხი მოიყვანა, ისეთი ადამიანები გაადეპუტატა და გაამინისტრა, ბევრი მათგანი, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მხოლოდ რაიონის საკრებულოს წევრობასა და გამგებლობაზე თუ ოცნებობდა. ამ ხალხმა ქნა თუ ქნა! არ დაიკლეს არაფერი, მაღალი ხელფასები, პრემიები, სახელფასო დანამატები, სუპერკომფორტული სამუშაო პირობები, უცხოეთში მივლინებები და ძვირად ღირებულ სასტუმროებში ცხოვრება, უძვირესი კორპორაციული ქეიფები თბილისის პრესტიჟულ რესტორნებში... მათი მოდგმა რომ ვერ მოესწრებოდა, იმდენი სიკეთე ანახათ ივანიშვილმა ამ მართლა ცალ-ცალი კალოშით ხელისუფლებაში მოსულ არარაობებს ბიუჯეტის ხარჯზე. ამ ბიუჯეტის შემვსებ ქართველ ხალხს კი მხოლოდ სამი თითის კომბინაცია ერგო ივანიშვილისგან. არჩევნები შორს არაა და ვნახოთ, ხალხი ახლა ივანიშვილის რა ზღაპრებს დაიჯერებს...

**„პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კი, ივანიშვილის რჩეული, შარშან ცინიკურად აცხადებდა, რომ „თითქმის ყველა ის დაპირება, რომელიც ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია „ქართული ოცნების" მიერ იყო გაცემული, ეტაპობრივად შესრულდა და ეს პროცესი გრძელდება. ეს დაპირებები გათვლილი იყო ოთხწლიან მაჩვენებელზე". ღარიბაშვილის ეს განცხადება იყო ქართველი ხალხის დაცინვა, აბუჩად აგდება. როგორ, ქვის ხანაში ხომ არ ვცხოვრობთ, რომ 4 წლის წინათ რასაც ხალხს ჰპირდებოდა ივანიშვილი, ის ვერ გავიხსენოთ?"**



# რომელი აგრესიული სექტის წარმომადგენელია ომბუდსმენი ნანუაშვილი?

## რას ყვება სანდრო ბრეგაძე?



ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



გეცოდინებათ, 17 მაისს რამდენიმე „ლგბტ"-პირმა ვანდალური აქტი რომ განახორციელა და საპატრიარქოს კედლები სხვადასხვა ფერებში შეღება, რის გამოც სამართალდამცავებმა ისინი დააკავეს. აღნიშნულ ფაქტს მყისიერად გამოეხმაურა სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი: „ნახატების თვითნებურად შესრულება შენობათა ფასადებსა თუ ღობეებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა (ასკ 150-ე მუხლი). თუმცა, სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება აღნიშნულ ქმედებებზე მკაცრ ნორმატიულ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული. გაუგებარია, რატომ იყვნენ დაკავებისას პოლიციელები ფორმის გარეშე და შს სამინისტროს კონკრეტულად რომელ სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარმოადგენდნენ ისინი... დაკავებულებმა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს განუცხადეს, რომ მათი დაკავება განხორციელდა უხეში ფორმებით, ყოველგვარი განმარტების გარეშე და ჰომოფობიური ენის გამოყენებით".

ომბუდსმენის ამ განცხადებამ ძალიან ბევრი გააღიზიანა და მათ შორის, მოძრაობა „ეროვნულების" ლიდერი სანდრო ბრეგაძე, რომელმაც „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე დაწერა: „მოვითხოვ, სახალხო დამცველმა ნანუაშვილმა ღიად განაცხადოს თავისი რელიგიური აღმსარებლობის შესახებ. დაასახელოს მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლი აგრესიული სექტა, რომლის წევრიც არის!"

**„ალია" სანდრო ბრეგაძეს დაუკავშირდა და დაინტერესდა, რას გულისხმობდა აღნიშნულ განცხადებაში და რა სექტაზე ჰქონდა საუბარი?**

– პირველ რიგში, თავად სახალხო დამცველმა უნდა განაცხადოს და საქართველოს მოსახლეობა იმსახურებს იმას, რომ იცოდეს, რა რელიგიური აღმსარებლობის არის უჩა ნანუაშვილი. მე რამდენადაც ვიცი, ის მალავს თავის რელიგიურ აღმსარებლობას, ვინაიდან ის გახლავთ ერთ-ერთი აგრესიული სექტის წარმომადგენელი, რომელი სექტაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში აკრძალულია, ისე, როგორც იაპონიაშია აკრძალული „აუმ სინრიკეს" ტერორისტული სექტა. დაახლოებით ასეთივე სექტის წარმომადგენელია ნანუაშვილი. საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რეალურად რატომ ებრძვის შეგნებულად მართლმადიდებლობას ეს ადამიანი და რატომ არის ის მართლმადიდებლობის, ეკლესიისა და საპატრიარქოს მტერი, რადგანაც ნანუაშვილმა თავისი უპასუხისმგებლო, ავაზაკური და მოღალატეობრივი განცხადებებით ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, ყველა წითელი ხაზი გადაკვეთა. პირდაპირ ვაცხადებ: უჩა ნანუაშვილმა, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა ვანდალებისა და ავაზაკების მიერ საქართველოს საპატრიარქოს კედლებზე შეურაცხმყოფელი სიმბოლოების გამოხატვას და მის შეურაცხყოფას. ეს ადამიანი არის მართლმადიდებლობისა და პირდაპირ უნდა ითქვას – საქართველოს სახელმწიფოს მტერი! ეს მანქურთი სახალხო დამცველი გახლავთ რწმენის, სინდისისა და მორალისგან დაცლილი პირი, რომელიც სასწრაფო წესით უნდა გადადგეს და თუ არ გადადგება, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, ერთი ადამიანი მაინც აღმოჩნდეს ისეთი, რომელსაც ეყოფა იმის ვაჟკაცობა და გამბედაობა, რომ მისი იმპიჩმენტის საკითხი დააყენოს და სასწრაფოდ მოგვაცილონ ეს არსაიდან მოსული, გაუნათლებელი პიროვნება სახალხო დამცველის აპარატს.

**— სახალხო დამცველი და მისი აპარატი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და ერთი შეხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარედაფინანსებებზე არ „ზის". ასეთ დროს რაში სჭირდება იმ ტიპის განცხადებების გაკეთება, როგორსაც აკეთებს ხოლმე? აქ მართლაც მის შესაძლო სექტანტობაზეა საუბარი, თუ სხვა მიზეზებიც არის?**

– ცნობილია, რომ პატიოსნის მანტიით შემოსილმა აგრესიულმა ნანუაშვილმა, დაახლოებით, 100-ათასლარიანი ავტომობილი იყიდა სახელმწიფოს ხარჯზე. აგრეთვე, ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება მის ე.წ. რეკომენდაციებთან დაკავშირებით, პატიმრების ვადამდე ადრე განთავისუფლებასთან მიმართებაში. მე ასეთი ინფორმაციაც მაქვს, რომელიც გადაუმოწმებელია, თუმცა საკმაოდ სარწმუნო ადამიანმა მითხრა: ე.წ. „მშრალ ხიდთან" მის მეუღლეს აქვს რაღაც გარკვეული ოფისი, სადაც სექტაში გაწევრიანების სანაცვლოდ, ჰპირდება, რომ მისი ქმარი პატიმრების ვადაზე ადრე განთავისუფლებაზე გაუწევს რეკომენდაციებს და ხდება პატიმრების მშობლების, ოჯახის წევრების გადაბირება. კიდევ ერთხელ ვამბობ, მე არ მაქვს კონკრეტული საბუთები ამის დასამტკიცებლად, მაგრამ ამის შესახებ უკვე რამდენიმე ადამიანმა მითხრა. საერთოდ, მე ვფიქრობ, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ რევიზია იმ საქმიანობისა, რომელსაც ამ წლების განმავლობაში ეწეოდა უჩა ნანუაშვილი, დაწყებული ფინანსური საკითხებიდან, იმ პოლიტიკური საკითხებით დამთავრებული, რომელთა წამოწევაშიც ის აქტიურად მონაწილეობდა. გარწმუნებთ, რომ აბსოლუტურად ყველა ნაბიჯი, რომელიც ბატონმა ნანუაშვილმა გადადგა, არის ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები.

**— ისევ სექტანტობას მინდა დავუბრუნდე: შეგიძლიათ, უფრო დააკონკრეტოთ, რას გულისხმობთ? საუბარი გაქვთ რაიმე ტიპის რელიგიურ სექტაზე, თუ ამას გადატანითი მნიშვნელობით ამბობთ? ან იქნებ რაიმე სახის ორგანიზაციას და მის წევრობას გულისხმობთ?**

– მოდით, ასე გეტყვით: მე მაქვს ინფორმაცია, რომ ის არის სექტანტი. გამოვიდეს და თვითონ განაცხადოს თავისი რელიგიური აღმსარებლობის შესახებ. ამავე დროს, მისმა რამდენიმე თანაკურსელმა (და მე მის საკმაოდ ბევრ კურსელს ვიცნობ, რადგან ის სწავლობდა ინსტიტუტში, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც მამაჩემი გახლავთ), მითხრა, რომ 90-იან წლებში ნანუაშვილსა და მის ძმას ჩამოყალიბებული ჰქონდათ ფაშისტური ტიპის ანტიდასავლური ორგანიზაცია, რომელი ორგანიზაციის გამოც ის დაკავებულიც იყო უშიშროების მიერ და თითქოსდა, იქ მოხდა მასთან გარკვეული ორგანოების მჭიდრო კავშირი. მე როგორც მითხრეს, მომაწოდებენ გაზეთში იმ დროს გამოქვეყნებულ მის ანტიდასავლურ და ფაშისტურ გამონათქვამებს. ჯერჯერობით, ეს მასალები არ მიმიღია და როგორც კი მივიღებ, აუცილებლად გამოვაქვეყნებ. სანამ მას სახალხო დამცველად დანიშნავდნენ, კაციშვილმა არ იცოდა მის შესახებ, ვინ იყო და ვფიქრობ, ეს ადამიანი ასრულებს საკმაოდ ნეგატიურ როლს საქართველოს უახლეს ისტორიაში.

**— თქვენც ახსენეთ ახლა, რომ ამ ადამიანს, ფაქტობრივად, არავინ არ იცნობდა, ისე დანიშნეს სახალხო დამცველად. მას საკმაოდ კარგი რეკომენდაცია გაუწია ბიძინა ივანიშვილმა და შეიძლება ისიც კი ვთქვათ, რომ ნანუაშვილი მისი მოყვანილია. ბიძინა ივანიშვილი თითქმის ყოველთვის აკეთებს ხოლმე განცხადებებს მთავრობისა და ხელისუფლების იმ წარმომადგენელთა მისამართით, რომლებმაც მას, ასე თუ ისე, უგანეს. როგორ ფიქრობთ, რატომ არაფერს ამბობს ის ნანუაშვილზე მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელის განცხადებები მოსახლეობის დიდ ნაწილს აღიზიანებს?**

– ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით, თავად ბატონი ბიძინას გადასაწყვეტია, გააკეთებს თუ არა განცხადებას ნანუაშვილთან დაკავშირებით. თუმცა ჩემი აზრით, არა მგონია, ბატონი ბიძინა აღფრთოვანებული იყოს ნანუაშვილის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობით. არა მგონია, რომ სახალხო დამცველი ივანიშვილის ან „ქართული ოცნების" დანიშნული ან არჩეული იყოს ამ პოსტზე. მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, უფრო მეტად უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების წვლილი ურევია ამ ყველაფერში, თუმცალა, ყველაფერს დრო სჭირდება, ყველაფერი დადგინდება და გაირკვევა, მანამდე კი ეს ადამიანი უნდა მოსცილდეს სახალხო დამცველის პოსტს, რადგან ნეგატიურის მეტს არაფერს აკეთებს. პირდაპირ გეტყვით: შევარდნაძის, სააკაშვილის დროინდელი სახალხო დამცველები ამასთან შედარებით ანგელოზები არიან. ადამიანი, რომელიც, ფაქტობრივად, ამართლებს საპატრიარქოს შებღალვას და იმის მაგივრად, აცხადებდეს, რომ ამ ადამიანებმა დაარღვიეს რწმენის თავისუფლება, ჩაიდინეს ვანდალიზმიო, – გამოდის და გაიძახის, „ლგბტ"-ების დაკავების დროს ჰომოფობიური წინადადება თქვა რომელიღაც პოლიციის თანამშრომელმაო... ეს არის დაცინვა და თუ მას პარლამენტი არ მოაცილებს, ვფიქრობ, მრავალათასიანი აქციებითა და მიტინგებით უნდა გამოვიყვანოთ თავისი კაბინეტიდან ეს მანქურთი და გავუშვათ იქ, სადაც მისი ადგილია! ეს „ლგბტ"-ები იმდენად აგრესიულები არიან უკვე და იმდენად დიდ შეტევაზე არიან გადმოსულები, რომ საპატრიარქოში გვივარდებიან. ხვალ ეკლესიაში შემოგვივარდებიან. მათი დანაშაული არ არის სწორად კვალიფიცირებული, ეს ადმინისტრაციული კი არა, სისხლის სამართლის დანაშაულია და ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ისრაელში ვინმემ სინაგოგას სვასტიკა მიახატოს... ამის ჩამდენი დღის სინათლეს ვეღარ ნახავს, ცხოვრების ბოლომდე პატიმრობა მიესჯება. ან ნებისმიერ მუსლიმანურ სახელმწიფოში ვინმემ მეჩეთს რაიმე ტიპის შეურაცხყოფა მიაყენოს – ის ადამიანიც ვერ ნახავს დღის სინათლეს ვერასდროს და ახლა, ჩვენ რა განსაკუთრებული ტოლერანტულები ვართ, რომ ასეთი საშინელება უნდა ავიტანოთ? მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ასეთი ქმედება უმკაცრესად დასჯადია და ეს ადამიანები უნდა მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მიესაჯოთ პატიმრობა, რათა სხვა მათმა ნაძირალა თანამზრახველებმა, რომლებიც ფულის გულისთვის ყველაფერზე არიან წამსვლელები, დაინახონ: არა მარტო მართლმადიდებლური ტაძრების, არა მარტო მართლმადიდებლური საპატრიარქოს შეურაცხყოფა, არამედ ნებისმიერი რელიგიური დაწესებულების შეურაცხყოფა და უხამსობა დაისჯება კანონის მთელი სიმკაცრით და არა ჯარიმით. თავიანთი პატრონები მათ ამას ყველაფერს აუნაზღაურებენ და პრობლემა არ იქნება. ბოლოს და ბოლოს, „ნაციონალური მოძრაობა" და „რესპუბლიკური პარტია" აუნაზღაურებთ, რომლებიც არიან ამ ძალების რეალური პატრონები, რომელზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ.

ერთი რა მინდა კიდევ ვთქვა: შეშინებული და ფერდაკარგულია პოლიტიკური სპექტრის 80 პროცენტი, რომელიც ხმას ვერ იღებენ ამ ფაქტთან დაკავშირებით. სწორად თქვა თამაზ მეჭიაურმა – ეს „ლგბტ"-პირები არიან მართლა პიდარასტები და საქართველოს მოღალატეები! მე ვერ ვიტან ფარისევლობას, არ შეიძლება, ეკლესიაში მიდიოდე, ერთი ხელით სანთელს ანთებდე და ქვეყნის დასანახად ლოცულობდე, მეორე ხელით კი იმ ადამიანებს იცავდე, რომლებიც საპატრიარქოს შეურაცხყოფენ. მე ვფიქრობ, საქართველოს მთავრობა და პოლიტიკოსები უნდა გამოვიდნენ და ეს ფაქტი დაგმონ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: დაუწერელი კანონია, რომ, როდესაც ხელისუფლება ვერ იცავს ადამიანის ან რელიგიური ჯგუფების უფლებებს, მაშინ მათ აქვთ სრული უფლება, თავად დაიცვან თავი და ნუ გადაგვიყვანენ იმ რეჟიმზე, რომ ჩვენ თვითონ დავიცვათ საკუთარი თავი, საქართველოს საპატრიარქო და ჩვენი სიწმინდეები, თორემ ეს დაცვა, გარწმუნებთ, არ იქნება ისეთი ადვილი პროცესი, როგორც მათ წარმოუდგენიათ!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## იანვარ-მარტში, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად 143 ადამიანი დაიღუპა



2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოში მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად 143 ადამიანი დაიღუპა, 1994 კი დაშავდა.

სტატისტიკის თანახმად, 2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოში სულ 1424 საგზაო შემთხვევა მოხდა, აქედან თბილისში – 674. ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად სამი თვის განმავლობაში, საქართველოში 143 ადამიანი დაიღუპა და 1994 დაშავდა. მათგან, თბილისში დაიღუპა 26, ხოლო დაშავდა 876 ადამიანი. დაღუპულებს შორის სულ 32 ქვეითია, აქედან თბილისში 14, საქართველოს მასშტაბით დაშავებული ქვეითების რაოდენობაა 445, თბილისში კი – 275.

2015 წლის იანვარ-მარტში, საქართველოში 1322 საგზაო შემთხვევა მოხდა, მათგან თბილისში – 619. დაიღუპა 135 და დაშავდა 1888 ადამიანი, აქედან თბილისში დაიღუპა 18, 832 კი დაშავდა.

დაღუპულთა რაოდენობა საქართველოში 5,9 პროცენტით არის გაზრდილი, თბილისში 44,4 პროცენტით. დაშავებულთა რაოდენობა ქვეყანაში 5,6 პროცენტით გაიზარდა, თბილისში კი, 5,3 პროცენტით.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ქვეითების დაღუპვის შემთხვევები საქართველოში 6,67 პროცენტით, თბილისში კი 180 პროცენტით არის გაზრდილი. ქვეითთა დაშავების შემთხვევები საქართველოში 12,37 პროცენტით, თბილისში კი 7 პროცენტით არის გაზრდილი. (pia.ge)

## სამებაში გაჩენილი ხანძრის გამო მთავრობამ 3 მილიონზე მეტი გამოყო



სამების საკათედრო ტაძარში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის რესტავრაცია-აღდგენის და მასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, მთავრობამ 3მილიონ 737 ათას 400 ლარი გამოყო.

შესაბამისი განკარგულება მთავრობის ადმინისტრაციის ვებგვერდზეა განთავსებული.

ცნობისთვის, სამების საკათედრო ტაძარში ხანძარი მიმდინარე წლის 20 მარტს გაჩნდა. (ipress.ge)

## 50 დოლარად გადაკეთებული 5 დოლარიანი და მოტყუებული მაღაზიების გამყიდველები გორში



გორში გასულ კვირას გარეუბნებში მდებარე მარკეტების გამყიდველებს ყალბი კუპიურები შეატყუეს.

სავარაუდოდ ერთმა და იმავე ახალგაზრდა მამაკაცმა გადაკეთებული 5 დოლარიანი კუპიურები 50 დოლარიანებად გაასაღა.

უცნობი მამაკაცი მაღაზიაში შევიდა, დაახლოებით 60 ლარის პროდუქტი აიღო და როდესაც ფულის გადახდის დრო დადგა, თქვა, რომ სამწუხაროდ, საფულეში მხოლოდ 50 დოლარი ჰქონდა და თუ ადგილზევე გადაუხურდავებდნენ, შერჩეულ სურსათს შეიძენდა. მარკეტების გამყიდველებს ეჭვიც არ გასჩენიათ მამაკაცის კეთილსინდისიერებაში და 50 დოლარიანი რომ 5 დოლარიანი კუპიურიდან იყო შექმნილი, მხოლოდ მოგვიანებით შეიტყვეს.

მარკეტების გამყიდველებს სამართალდამცველებისთვის არ მიუმართავთ, რადგან მაღაზიებს პროდუქციის რეალიზაციის უფლება, ეროვნული ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში არ აქვთ. (ნიუპოსტი)

## „ეროვნული ფორუმი“ პრეზიდენტისგან „კაბელების საქმეზე“ დაკავებულების შეწყალებას ითხოვს



„ეროვნული ფორუმი“ საქართველოს პრეზიდენტს მოუწოდებს, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ბერკეტი და „კაბელების საქმეზე“ დაკავებული პირები შეიწყალოს.

– 16 მაისს, ე.წ. კაბელების საქმეზე დამდგარი განაჩენი, ჩვენი იურისტებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების აზრით, მსჯვრდებულთა უდანაშაულობას უფრო მიანიშნებს, ვიდრე მათ ბრალეულობას. ამავე დროს, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროცესს პოლიტიკურ შინაარსს აძლევს, რამაც შეიძლება ისედაც რთულ წინასაარჩევნო პერიოდს დამატებითი სიმწვავე შესძინოს. სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, მომდევნო ინსტანციების იმედიც ნაკლებად რჩება.

საქმისადმი საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, უსამართლობის მორიგი მსხვერპლის და პოლიტიკური ვითარების კიდევ უფრო გამძაფრების თავიდან აცილების მიზნით, „ეროვნული ფორუმი“ მოუწოდებს პრეზიდენტს, გამოიყენოს მის ხელთ არსებული უფლებები და შეიწყალოს მსჯავრდებულები, - განაცხადა კახა შარტავამ. (veqtori.ge)


მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

# რა ხდება ხელისუფლებაში? რატომ იქცევა ივანიშვილი ასე გამომწვევად





**„პოლიტიკური რეპრესია არის ის, სტალინი რასაც აკეთებდა: ატარებდა რეპრესიას და ოპოზიციას ანადგურებდა. თორემ, როდესაც ატარებ რეპრესიას, ოპოზიციას კი არ ანადგურებ, აძლიერებ, ამას რეპრესია კი არა, იდიოტიზმი ჰქვია“**

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები რომ იურისპრუდენციის ელემენტარულ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს და არაფერი აქვს საერთო თავისუფალი სასამართლოსთვის ბრძოლასთან, ეს აშკარაა. „კაბელების საქმეც“ რომ თეთრი ძაფით არის ნაკერი და სამართლებრივი გადაწყვეტილებისგან ძალიან შორსაა, იურისტები ამაზეც არგუმენტებით საუბრობენ.

**რა ხდება ხელისუფლებაში? რატომ იქცევა ივანიშვილი ასე გამომწვევად, სადამდე შეიძლება გაგრძელდეს სრულიად ალოგიკური, არადემოკრატიული მოქმედებები ქვეყნის დე ფაქტო თუ დე იურე მმართველებისგან?**

**„ალიას“ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი, კახა კუკავა ესაუბრა:**

– ამ ხელისუფლებას შეეყარა შევარდნაძის ვირუსი, რაც ნიშნავს იმას, რომ თვითგანადგურების წამლზომი არის ჩართული. ხელისუფლებაში თავად არიან ამ ხელისუფლების მტრები, რომლებიც დაინტერესებული არიან იმით, რომ მოხდეს ამ რეჟიმის რღვევა და განზრახ მავნებლობას ეწევიან ვიღაცის სასარგებლოდ. ისევე როგორც შევარდნაძის დროს იყო ხალხი, ვინც განზრახ მავნებლობდა. მაგრამ არის მეორე ნაწილი ხელისუფლებაში, რომლებიც არაკომპეტენტურები არიან, რომლებმაც არ იციან სახელმწიფოს მართვა და პირადი ემოციებიდან გამომდინარე იძლევიან ბრძანებებს. ეს ნაზავია ამ ყველაფრის თავი და თავი, ასე იყო შევარდნაძის დროსაც, ასეა ახლაც. ამ ორი ინსტინქტით ხდება დღესაც სახელმწიფოს მართვა და ამიტომ ხდება ერთ შეცდომაზე მეორე შეცდომის დამატება. ჩათვალეთ, რომ ალასანია ნობელის პრემიით დააჯილდოვეს ამ უსამართლო გადაწყვეტილებით. ეს მისთვის არის პირდაპირ აწეული „ტოპკა“. იმ ადამიანებსაც არაფერი არ დააკლდებათ, ვინც დააპატიმრეს, რადგან მათ ბიოგრაფიაში ეს ჩაიწერება, როგორც დამსახურება და რამდენიმე თვეში ან უფრო მალე გამოვლენ გარეთ. ეს განაჩენი არის გამოტანილი არა ალასანიას წინააღმდეგ, არამედ თავისი თავის წინააღმდეგ. ერთადერთი, ვინც ამით დაზარალდება, ეს არის თავად ქართული „ოცნება“ და მოსამართლე ბუგიანიშვილი.

**— შაბათს პროკურატურასთან დაანონსებულია აქცია, თქვენ რას აპირებთ, შეუერთდებით და მოითხოვთ „კაბელების საქმეზე“ დაჭერილი ადამიანების განთავისუფლებას, თუ თვლით, რომ ეს მხოლოდ ალასანიას გუნდის გასაპროტესტებელია? მათ საზოგადოებას სოლიდარობისკენ მოუწოდეს...**

– ეს არის პარტიული აქცია, ჩვენ მოწვევა არ მიგვიღია. გუშინდელი კი არ ვარ. როცა პარტიას უნდა, რომ აქციაზე მივიდეს სხვა პარტიაც, ისინი აკეთებენ მოწვევას. რაც შეეხება იმას, რომ უპარტიო აქციაა, იგულისხმება რომ უნდა მივიდნენ უპარტიო პირები და როცა დაუპატიჟებლად მიდის რომელიმე პოლიტიკური პარტია, მერე იწყებენ, რომ პარტიები არ გვინდა და ა.შ. ამიტომ მე არ მივალ შაბათს. სადაც არ მპატიჟებენ, არ მივდივარ. თუ იქნება „თავისუფალი დემოკრატების“ მხრიდან სურვილი, რომ სხვა ოპოზიციური პარტიებიც დაესწრონ, დავესწრებით, თუ არ იქნება ასეთი სურვილი, რა თქმა უნდა, არ წავალთ.

**— გასაგებია, რომ ივანიშვილის პირად სურვილზეა დამოკიდებული, ვინ გამოაცხადოს კორუფციონერად და ვინ — არა, კულტურის სამინისტროში და მერიაში გაუმჭვირვალე პროცესები ამის დასტურია... თეთრზე შავის მტკიცებით და საზოგადოებისთვის ღიად თვალებში ნაცრის შეყრით, გამოდის, რომ ივანიშვილი „ოცნების“ მტერია და ვნებს წინასაარჩევნოდ?**

– რა თქმა უნდა, ივანიშვილის გარეშე გამორიცხულია, ასეთი დონის საკითხები წყდებოდეს. ამიტომ ამას უნდა შევხედოთ არა როგორც პოლიტიკურ რეპრესიას, რადგან პოლიტიკური რეპრესია არის ის, სტალინი რასაც აკეთებდა: ატარებდა რეპრესიას და ოპოზიციას ანადგურებდა. თორემ, როდესაც ატარებ რეპრესიას, ოპოზიციას კი არ ანადგურებ, აძლიერებ, ამას რეპრესია კი არა, იდიოტიზმი ჰქვია. ამიტომ კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს ძალიან ჰგავს იმას, რასაც შევარდნაძე უკეთებდა თავის თავს ბოლო ორი წლის მანძილზე. ამ მოქმედებებით ივანიშვილი რომ „ოცნებას“ ანადგურებს, ფაქტია და საზოგადოებამ განსაჯოს, მტერია თუ მოყვარე.

**— მისი შექმნილია და გაანადგუროს, დიდი ამბავი... რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებულ ცვლილებებს, ბოლო დღეებია, ხელისუფლების სხვადასხვა შტო სწორედ ამ საკითხის ირგვლივაა დაპირისპირებული, რას ემსახურება ასეთი დაჟინებული და დაჩქარებული ცვლილებები?**

– ეს ემსახურება პრაქტიკულად საკონსტიტუციო სასამართლოს განადგურებას, რა თქმა უნდა, ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არის „ნაციონალების“ კონტროლირებადი, ამაში „ოცნება“ მართალია, რაშიც ვეთანხმები, ვეთანხმები. მაგრამ რადგან საკონსტიტუციო სასამართლო არის „ნაციონალების“ ორგანო, ეს არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უნდა გავანადგუროთ. თუ რეალური ცვლილება უნდოდა ხელისუფლებას, უნდა გაეყარა „ნაციონალები“. ახლა კი ამ კანონის შედეგად, რომელიც მიიღეს, ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლო უქმდება. ვინაიდან, თუ 9 პირიდან 9-ვე არ მოაწერს ხელს, გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ. 8 კაცი რომ ერთს იძახდეს და ერთი წინააღმდეგი იყოს, გადაწყვეტილება ვერ მიიღება. ანუ, პრაქტიკულად, უქმდება. ამიტომაც სწორი სულ სხვა რამ იქნებოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ რეფორმას წულუკიანი ვერ გააკეთებს. თუ ვიქნები ხელისუფლებაში, მე ვიცი, რას გავაკეთებ, გამოვაცხადებ საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე მოსამართლეს განთავისუფლებულად და მივაბრძანებ სახლში. დაინიშნებოდა 9 ახალი მოსამართლე და არც ერთი პოლიტიკურად მოტივირებული. ეს არის სწორი საშუალება და არა ის, რაც ამათ გააკეთეს. 9 მოსამართლიდან 7 ხომ არის „ნაციონალი“, 2 დანიშნეს „ქოცი“ და ამბობენ, რომ 7 ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ 2 „ქოციც“ არ დაეთანხმება. ეს არის აბსოლუტურად არასწორი, ანტიკონსტიტუციური, ანტიდემოკრატიული, ანტისახელმწიფოებრივი ქმედება.

**პორტირებული „ნაციონალები“ მართავენ, ფაქტობრივად, ქვეყანას და ა.შ., მოგვარება ისე როგორც ეს ხელისუფლება აგვარებს, ვერ გადაწყვეტს სახელმწიფოს სტაბილურობის საკითხს. საქართველო მიექანება „ვარდების“ მეორე რევოლუციისკენ, ხელისუფლება ამისთვის იძლევა ყველა მიზეზს.**

**— ესეც ივანიშვილის ახირებაა? პრეზიდენტის ვეტოსაც დავძლევთო, იმუქრება უმრავლესობა, თუ მათ ბრძანება არ აქვთ, არ მგონია ასე იბაქიბუქონ? თან ევროპულ კურსს და დემოკრატიულ პრინციპებსაც რომ „აწვებიან“...**

– სავარაუდოდ, დაძლევენ კიდეც, მაგრამ შედეგი იქნება საშინელი, ესეც შევარდნაძის სტილშია. თვითლიკვიდაციაა ყველა კუთხით. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშში აღინიშნება ეს აბსურდული გადაწყვეტილება და იქნება მკაცრი რეაქცია. მაგრამ მთავარია სხვა რამ, ჩვენმა მთავრობებმა ვერ გაიგეს, რომ, როდესაც არის ტკივილი და პრობლემა, დაავადებას არ შეიძლება უმკურნალო გამაყუჩებლით, გამაყუჩებლით შეიძლება გააყუჩო, მაგრამ, თუ არ იმკურნალებ, მოგკლავს და იყავი მერე გაყუჩებული და დასამარებული სამუდამოდ. პორტირებული „ნაციონალები“ მართავენ, ფაქტობრივად, ქვეყანას და ა.შ., მოგვარება ისე როგორც ეს ხელისუფლება აგვარებს, ვერ გადაწყვეტს სახელმწიფოს სტაბილურობის საკითხს. საქართველო მიექანება „ვარდების“ მეორე რევოლუციისკენ, ხელისუფლება ამისთვის იძლევა ყველა მიზეზს. კი არ ვაკრიტიკებ, უბრალოდ, ხელისუფლებამ ჩამთვალოს, როგორც კეთილი მრჩეველი, რადგან ფაქტია, თავად აკეთებენ ყველაფერს იმისთვის, რომ ქვეყანაში დაიწყოს არეულობა. არ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმება, უნდა გვესმოდეს, რომ ეს აუცილებლად შექმნის პრობლემებს, თან გადაულახავს და ჩიხში შეიყვანს ხელისუფლებას. შეიძლება ეს არ იცოდეს ინჟინერმა ან ექიმმა, მაგრამ პოლიტიკოსებმა და იურისტებმა უნდა იცოდნენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმება დაასამარებს თავად ხელისუფლებას.

**— კახა, ინტერპარტიულმა ჯგუფმა აქციები კარგახანია დაანონსეთ, მაჟორიტარული სისტემის გაუქმების არარსებობის შემთხვევაში, ხელისუფლებამ ჯერ მრავალგზის „გადაგაგდოთ“, შემდეგ გადაჭრით უარი გითხრათ, რას ელოდებით?**

– ივლისში ტარდება ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა თბილისში და სავარაუდოდ, სწორედ ამ ასამბლეას დაემთხვევა ოპოზიციის აქციები, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე ხელისუფლებასთან შეთანხმება არ იქნა მიღწეული.

**— რისი იმედიღა გაქვთ, გარკვევით გითხრეს, თქვენ რასაც მოითხოვთ, ეგ არ იქნებაო...**

– მე სულ ვამბობ, რომ ჩვენი თვითმიზანი არ არის აქციები, მინდა რომ ხელისუფლებასთან მივაღწიოთ შეთანხმებას. თუ არანაირი ფორმით არ მოხდა ეს, მაშინ აქციები გარდაუვალია.

**— ალასანია უკვე გადადის აქციების რეჟიმზე და მხოლოდ შაბათის აქციით არ შემოიფარგლება, არჩევნებამდე მოსალოდნელია ფართო ოპოზიციური სპექტრის ერთიანობა ქუჩის აქციებზე?**

– ეს არის ხელისუფლებაზე დამოკიდებული, თუ ყველას გადაიკიდებენ და პრობლემებს არ მოაგვარებენ, ასეთ შემთხვევაში გარდაუვალია აქციები. თუ ხელისუფლება აირჩევს დიალოგის გზას, რა თქმა უნდა, არის დესტრუქციული პარტიები, რომლებიც დაინტერესებული არიან, რომ მაინც აქციები გაიმართოს, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური გუნდი არაა დესტრუქციული ძალა და აქციები თვითმიზანი ნამდვილად არ არის.

## ხიდაშელმა „დელტას“ ხელმძღვანელი გაათავისუფლა



თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, „დელტას" ხელმძღვანელი თანამდებობიდან გათავისუფლებულია – თინა ხიდაშელმა უჩა ძოძუაშვილი დაითხოვა.

როგორც უწყებაში განმარტავენ, გენერალურ ინსპექციას დაევალა, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში შეისწავლოს კახეთის რეგიონში სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა. „დელტაში" გენინსპექცია ორი დღის წინ შევიდა.

უთანხმოება სამინისტროსა და „დელტას“ შორის ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაიწყო, როდესაც თინა ხიდაშელმა ცენტრის მუშაობა გააკრიტიკა.

მინისტრის უკმაყოფილება კომპანიის საქმიანობის გარდა ის დაფინანსებაც იყო, რომელსაც საწარმო სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებდა.

– როგორც ჩანს, რაღაც ვერ არის კარგად. პრემიერთან დაწყებული გვაქვს ამ საკითხზე კომუნიკაცია და სწრაფად ვაპირებთ, რომ საკითხი მოვაგვაროთ. არის რაღაც ნაწილი, სადაც შეუსაბამო დაგვიანებები ხდება. თავად „დელტა" ცოტა გაუგებარ ურთიერთობაშია შესული სხვადასხვა კერძო კომპანიებთან. ჩემი აზრით, ის, ისევე, როგორც კვების სახელმწიფო კომპანია, მოგებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამიტომ გაუგებარია, რომ „დელტა" 100 პროცენტით ჩამოკიდებლი იყოს სახელმწიფო ბიუჯეტთან, - აცხადებს ხიდაშელი. მინისტრი უკმაყოფილო იყო სამხედრო ტექნიკითაც, რომელსაც „დელტა“ აწარმოებს.

– აბსოლუტურად გაუგებარი ტექნიკა შეიქმნა, რომელსაც ფუნქცია არ აქვს. შესაძლებელია, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში იქნას გამოყენებული, მაგრამ ამისთვის იგივე თანხაა საჭირო, რაც მათზე აქამდე დაიხარჯა, - აცხადებდა ხიდაშელი 2015 წლის აგვისტოში. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ზაქარია ქუცნაშვილი: თუ პრეზიდენტი კანონს ვეტოს დაადებს, ეს მარტო პრინციპით - „არ მომწონს არ უნდა აიხსნას

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი საკონსტიტუციონ სასამართლოსთან დაკავშირებულ ცვლილებებს ვეტოს დაადებს, მისი გადაწყვეტილება კარგად არგუმენტირებული უნდა იყოს, ხოლო თუ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ „არ მომწონს" პრინციპით იქნება განპირობებული, მაშინ ქუცნაშვილი მხარს კანონის თავდაპირველ ვარიანტს დაუჭერს.

– როდესაც ჩვენ ეს კანონი მივიღეთ, შევეცადეთ, აგვეხსნა საზოგადოებისთვის ის არგუმენტაცია, რას ემყარებოდა ჩვენი მოსაზრება. ამიტომაც, განცხადება, რომ მე არ ვეთანხმები, საკმარისი არ არის. თუ გინდათ, რომ შეფასება იყოს ობიექტური, მაშინ ის დასაბუთებულიც უნდა იყოს. დასაბუთებული შენიშვნების გაცნობის შემდეგ კი მოგვეცემა შესაძლებლობა, რომ ვიმსჯელოთ, რომელია უფრო მიზანშეწონილი. კონსტიტუციურ დარღვევას მე აქ ვერ ვხედავ, რადგან ყველა ის გადაწყვეტა, რომელიც ჩვენ მოვძებნეთ, კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში არ ყოფილა. მე დაველოდებოდი პრეზიდენტს და თუ იქნება შენიშვნების დასაბუთება, ამის შემდგომ სხვა შეფასებებს გავაკეთებდი, - განაცხადა ქუცნაშვილმა.

მისივე განმარტებით, არსებული



კანონმდებლობის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი კანონს ვეტოს მაინც დაადებს, გადაწყვეტილების დაძლევა იმდენივე ხმით უნდა მოხდეს, რამდენითაც ეს კანონი იქნა მიღებული. ამის შემდეგ კანონს იმავე ხმების რაოდენობით უნდა ეყაროს კენჭი, თუმცა ქუცნაშვილი მიიჩნევს, რომ ამ ეტაზე პრეზიდენტის ვეტოს დაძლევაზე საუბარი ნაჩქარევია.

– ნაადრევია ვეტოს დაძლევაზე მსჯელობა. ჩვენ წარმოვადგინეთ დასაბუთება, რატომ ჩავთვალეთ ამ კანონის მიღება საჭიროდ. თუ პრეზიდენტის ადმინისტრაცია მყარად დაასაბუთებს და იტყვის, რომ ჩვენი გადაწყვეტილება მცდარი იყო, მაშინ მე დავფიქრდები, თუ ეს ვერ დასაბუთდა და ის მარტო „არ მომწონს" — პრინციპით იქნება ახსნილი, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, მე თავდაპირველ ვარიანტს დავუჭერ მხარს, - განაცხადა ქუცნაშვილმა. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ყველაფერს თავისი სახელი სწრაფად უნდა დაერქვას, რომ ჩვენ ყველანი ერთად არ აღმოვჩნდეთ ევრაზიულ ტლაპოში



დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის თავმჯდომარე სოსო ცისკარიშვილი ე.წ. კაბელების საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ეხმაურება.

– პროკურატურაც და სასამართლოც პრივატიზებულია უკვე ბიძინა ივანიშვილის მიერ. როგორც ჩანს, ვიღაცისთვის არის უპირატესი ვექტორი ჩვენი ქვეყნის განვითარებისა, რომელიც უნდა იყოს დაშორებული დასავლეთისგან. ყველაფერს თავისი სახელი სწრაფად უნდა დაერქვას, რომ ჩვენ ყველანი ერთად, არ აღმოვჩნდეთ ევრაზიულ ტლაპოში, - განაცხადა ცისკარიშვილმა. (news.ge)

## „ბიძინა ივანიშვილს აქვს მცდელობა, დასაჯოს საკონსტიტუციო სასამართლოს დღევანდელი შემადგენლობა



საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატი თინა ბოკუჩავა იმედოვნებს, რომ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი კანონს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ვეტოს დაადებს.

– ამ კანონით ბიძინა ივანიშვილს აქვს მცდელობა, დასაჯოს საკონსტიტუციო სასამართლოს დღევანდელი შემადგენლობა თავისი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებისთვის, მათ შორის, „რუსთავი 2"-ზე, მათ შორის გიგი უგულავაზე და ამიტომ, ყოველგვარი პროცედურული ნორმების დარღვევით, ვენეციის კომისიის მოსაზრებების გათვალისწინების გარეშე, მათ მიიღეს არაკონსტიტუციური კანონი და დიდი იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი ამ კანონს დაადებს ვეტოს, - განაცხადა ბოკუჩავამ.

შეგახსენებთ, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი დეპუტატებმა მესამე მოსმენით 14 მაისს მიიღეს. (news.ge)

## ლაგოდეხში მოზარდს, რომელიც ცხვარს მწყემსავდა, დენმა დაარტყა

ლაგოდეხის რაიონში 13 წლის ბიჭს დენმა დაარტყა, რის შედეგადაც ორივე ხელი, ტერფი და თავის ქალა დაუზიანდა. არსებული ინფორმაციით, მოზარდი ლაგოდეხში მწყემსებთან ერთად ცხვარს მწყემსავდა და მოულოდნელად მინდორში დაგდებულ ელექტროსადენს ფეხით შეეხო, რის შედეგადაც სხეულის 15-პროცენტიანი დამწვრობა მიიღო.

როგორც იაშვილის სახელობის თერმული დაზიანებისა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის ხელმძღვანელი გუგა ქაშიბაძე აცხადებს, პაციენტი კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. მისი თქმით, 13 წლის მოზარდის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

მედიკოსები პაციენტს ქირურგიული ოპერაციისთვის ამზადებენ, რომელსაც, სავარაუდოდ, 20 მაისს ჩაუტარებენ.

– პაციენტი მოთავსებულია რეანიმაციულ განყოფილებაში. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. უტარდება ყველა საჭირო გამოკვლევა, რათა პარასევს, 20 მაისს, ოპერაციისთვის მოვამზადოთ. ელექტროკონტაქტის შედეგად, მოზარდს დაზიანებული აქვს ზედა ორივე კიდური, მარცხენა ფეხის ტერფი და თავის ქალა. მიღებული აქვს მე-3 (ა) — (ბ) და მე-4 ხარისხის დამწვრობა, — აცხადებს გუგა ქაშიბაძე.

13 წლის ბავშვი ელექტროკონტაქტური დაზიანებებით თავდაპირველად ლაგოდეხის რაიონულ საავადმყოფოში მიიყვანეს, რის შემდეგადაც კატასტროფის ბრიგადამ თბილისში გადმოიყვანა. (kvira.ge)

## ნატო რუსეთთან ბირთვული ომის რისკის წინაშე დადგება, თუ ალიანსი ბალტიისპირეთში თავდაცვისუნარიანობას არ გააძლიერებს



– ნატო რუსეთთან ერთ წელიწადში ბირთვული ომის რისკის წინაშე დადგება, თუ ალიანსი ბალტიისპირეთის ქვეყნებში თავდაცვისუნარიანობას არ გააძლიერებს, - ამის შესახებ Independent-ის ინფორმაციით, ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ყოფილმა მოადგილემ, გენერალმა რიჩარდ შირეფმა განაცხადა. მისი თქმით, ნატოს წევრ ქვეყნებზე - ესტონეთზე, ლიტვასა და ლატვიაზე თავდასხმის შესაძლებლობა დიდია, დასავლეთმა კი „პოტენციური კატასტროფის" თავიდან ასაცილებლად უნდა იმოქმედოს.

– ჩვენ უნდა განვსაჯოთ პრეზიდენტი პუტინი არა მისი სიტყვებით, არამედ მოქმედებებით. ის შეიჭრა საქართველოში, ყირიმსა და უკრაინაში. მან ძალა გამოიყენა და ამისთვის არ დაისაჯა. დაძაბულობის შემთხვევაში კი ბალტიისპირეთის ქვეყნებზე თავდასხმა სრულიად შესაძლებელია, - განაცხადა გენერალმა შირეფმა.

მისივე თქმით, პუტინმა შესაძლოა, ბალტიისპირეთში ინტერვენცია გადაწყვიტოს თუ მან „ალიქვა" ნატოს სისუსტეები. გენერლის თქმით, შესაძლოა, რუსეთის პრეზიდენტმა როგორც ყირიმში, ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც თავისი ქმედებების არგუმენტად რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვა დაასახელოს.

ნატომ ბალტიისპირეთში უკვე გააძლიერა თავდაცვისუნარიანობა, თუმცა, გენერალ შირეფის განცხადებით, საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერება იმისათვის, რომ აგრესორმა ამ რეგიონში ინტერვენცია არ გარისკოს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ვიღაცები შეიძლება დაემშვიდობონ სამსახურს“ - „საზმაუს“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი

„მოამბის" თანამშრომლების მოთხოვნას, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი გიორგი გვიმრაძე ეხმაურება და აცხადებს, რომ ტელეკომპანიაში რეორგანიზაცია მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც გადახედილი იქნება ანაზღაურება, რანგირება და სხვა საკითხებიც.



– მიმდინარეობს რეორგანიზციის პროცესი. ამ რეორგანიზაციის პროცესში გადახედილი იქნება ანაზღაურებაც, რანგირებაც და ასე შემდეგ. ვიღაცები შეიძლება დაემშვიდობონ სამსახურს, - განაცხადა საინფორმაციო სამსახურის უფროსმა გიორგი გვიმრაძემ.

შეგახსენებთ, რომ საინფორმაციო გამოშვება „მოამბის" თანამშრომლები ხელფასების გაზრდასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესასვლელთან საგანგებო მიმართვა ჟურნალისტებმა, ოპერატორებმა, მემონტაჟეებმა და ტექნიკური სამსახურის წარმომადგენლებმა გააკეთეს. მათი თქმით, ხელმძღვანელობას რამდენჯერმე მიმართეს, თუმცა უშედეგოდ. „მოამბის“ თანამშრომლები ადმინისტრაციას მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად 21 დღიან ვადას აძლევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვით იმუქრებიან. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ექვსი ერი საქართველოსა და რუმინეთისთვის კარის გახსნის შესაძლებლობას განიხილავს



ექვსი ერის ორგანიზატორები პლანეტის უძველეს საერთაშორისო ტურნირსა და ერთა თასს შორის „ასვლა-ჩასვლის" სისტემის დანერგვის შესაძლებლობაზე იმსჯელებენ.

როგორც გავლენიანი დამოცემა therugbypaper-ი წერს, ორგანიზატორთა შორის გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ტურნირის „კაპიტალურ რემონტს" ითხოვენ.

– ექვსი ერის პოლიტიკის ცვლილებასა და საზღვრების გაფართოების მომხრეთა ავანგარდში შოტლანდიელები და უელსელები დგანან, რომელთაც შეუძლიათ, კარი გაუღონ საქართველოსა და რუმინეთს და ევროპის უმთავრეს ტურნირში თამაშის შესაძლებლობა მისცენ, - ნათქვამია სტატიაში.

როგორც სტატიის ავტორი წერს, გადამწყვეტი სიტყვა „მსოფლიო რაგბის" ახლადარჩეულ პრეზიდენტ ბილ ბომონტს ეკუთვნის, რომელიც რამდენიმე წელი თავად ხელმძღვანელობდა ექვს ერს და ჯონ ფიიმანსაც. ეს უკანასკნელი გამოვიდა ინიციატივით, რომ ექვსი ერი აპრილში გადაეტანათ, თუმცა დასძინა, რომ „ეს კომერციული ტურნირის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტი იყო."

„მსოფლიო რაგბის" ყოფილმა თავმჯდომარე ბერნარ ლაპასემ ცოტა ხნის წინ ექვს ერს მოუწოდა, დაინერგოს ასვლა-ჩასვლის სისტემა. (ნიუპოსტი)

# რა ხდებოდა საკრებულოს კულუარებში ნარმანიას სხდომაზე გამოსვლის შედეგ?

## ნარმანიას საკითხით სუს-ი დაინტერესდა?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**„ალიას" მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის" დამფუძნებელი, ლევან ხაბეიშვილი ესაუბრა:**

– ბოლო დროს, განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა, რომ დედაქალაქის მერი, დავით ნარმანია გაყოყოჩდა და თავში აუვარდა, ოღონდაც რა – ეს გაუგებარია. გამოვიდა და გვითხრა, რომ საკრებულოში ახლა კი არა, დეკემბერში მოვალო. უმცირესობის დაძახებულზე არ მოვალო. არადა, საკრებულოს უმცირესობას კი არ უნდა ითვლიდეს, მოქალაქეების წინაშე უნდა მიიჩნევდეს თავს ვალდებულად, იმ ხალხთან, რომლებმაც მას მხარი დაუჭირეს. ამას მოჰყვა ის, რომ შუშის კოლბიდან შემოუთვალეს – დეკემბერში შენ მერი ვერ იქნები და საკრებულოში მისვლის ეს უკანასკნელი შანსი გამოიყენეო.

საკრებულოში მერის მისვლა, წინა წლებშიც იყო პრობლემა, იმიტომ, რომ საკრებულო გადაქცეული იყო ნოტარიუსად, იმ განსხვავებით, რომ წინა ხელისუფლებაში, ქალაქის მერი მაინც იყო შედარებით ძლიერი. მართალია, ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ საქმესაც აკეთებდა. აქ საქმე ისაა, რომ მერიც ნოტარიუსია და საკრებულოც.

მოკლედ, დავით ნარმანია უკანასკნელად გამოცხადდა მერის სტატუსით დედაქალაქის საკრებულოში და ასევე, უკანასკნელად „ჩააბარა" საკრებულოს დეპუტატებს ანგარიში.

ძალიან სასაცილო იყო დავით ნარმანიას განცხადებები, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობას" მათ მიერ დაგებული გზების ამბავი მოჰკითხა. მარაზმშია დავით ნარმანია. რას ამბობს, თავადაც არ იცის, ვერ აკონტროლებს საკუთარ თავს. გარკვეულწილად, მისი ემოციებიც გასაგები იყო, იმიტომ, რომ ყველა აგრესია, დაწყებული ბოტანიკური ბაღის საკითხით, გადავიდა დავით ნარმანიას კისერზე. სიმართლე გითხრათ, დავით ნარმანია, საკრებულოში ძალიან შემეცოდა. მასზე გადატყდა ყველა ჯოხი, რაც მთლიანად ხელისუფლებაზე უნდა გადატეხილიყო. რეალურად კი დავით ნარმანია მართლა არაფერ შუაში არ არის. მისი სურვილები საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ის არის, უბრალოდ, ნოტარიუსი, რომელიც დაქირავებული ჰყავს ბიძინა ივანიშვილს.

**„სიმართლე გითხრათ, დავით ნარმანია, საკრებულოში ძალიან შემეცოდა. მასზე გადატყდა ყველა ჯოხი, რაც მთლიანად ხელისუფლებაზე უნდა გადატეხილიყო. რეალურად კი დავით ნარმანია მართლა არაფერ შუაში არ არის. მისი სურვილები საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ის არის, უბრალოდ, ნოტარიუსი, რომელიც დაქირავებული ჰყავს ბიძინა ივანიშვილს"**

ეს ადამიანი თბილისელებთან კი არ თვლის თავს ანგარიშვალდებულად, არამედ ერთ კონკრეტულ ადამიანთან. ეს არის ბიძინა ივანიშვილი და მთელი მისი დრო და ენერგია მიმართულია ამ ადამიანის კაპრიზების შესასრულებლად.

**— რა შთაბეჭდილება დატოვა დავით ნარმანიამ გამოსვლის შემდეგ უმრავლესობის დეპუტატებსა და მის მხარდამჭერებში?**

– ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ყველა. კვირა არ გავა, რამე გახმაურებულ საკითხს არ დაუკავშირდეს ამ ადამიანის სახელი, კვირა არ გავა, რომ მერიის რომელიმე თანამშრომელი ქრთამზე არ დააკავონ. რამდენჯერ გვისაუბრია იმაზე, რომ ამ კორუფციის უმთავრესი მამოძრავებელია ის, რომ ოროსნები, ჩაჭრილები და უცოდინრები ჰყავთ დანიშნული თანამდებობებზე. ამიტომაცაა ჩაფლული კორუფციაში დავით ნარმანია მთელ თავის გუნდთან ერთად. ათობით კორუფციის ფაქტი შეგვიძლია უკვე ჩამოვთვალოთ. ამ ყველა საქმის რეალურ გამოძიებას სჭირდებოდა პოლიტიკური ნება და როგორც გვეუბნებიან, სუს-ი უკვე აცხადებს მზაობას, რომ დავით ნარმანიამ საბოლოოდ წაიყვანოს თავისი საქმიანობა კულმინაციისკენ, დაწეროს განცხადება და წავიდეს. უბრალოდ, რამდენიმე თვეა დარჩენილი იმ დრომდე, სანამ ვადამდელი არჩევნები მოუწევს. მხოლოდ ეს არის თორემ, დავით ნარმანია რომ დღეს მერი არ არის რეალურად და ელემენტარულ გადაწყვეტილებებსაც რომ ვერ იღებს, ამაზე უკვე ვისაუბრეთ.

**„ჩაფლული კორუფციაში დავით ნარმანია მთელ თავის გუნდთან ერთად. ათობით კორუფციის ფაქტი შეგვიძლია უკვე ჩამოვთვალოთ. ამ ყველა საქმის რეალურ გამოძიებას სჭირდებოდა პოლიტიკური ნება და როგორც გვეუბნებიან, სუს-ი უკვე აცხადებს მზაობას, რომ დავით ნარმანიამ საბოლოოდ წაიყვანოს თავისი საქმიანობა კულმინაციისკენ, დაწეროს განცხადება და წავიდეს"**

დავით ნარმანიას ადგილი არის 30-40-კაციან აუდიტორიაში, სადაც სტუდენტებს ლექციებს წაუკითხავს, იმიტომ, რომ არ გამოსდის ამ კაცს თბილისის გაძღოლა და მოკალით, თუ გინდა.

დღეს, თავად ბიძინა ივანიშვილსაც კი აღარ მოსწონს მის მიერ შერჩეული მერი და ახლა სხვა მერი გამოგვიგზავნა ლელუაშვილის სახით „ქართუდან". ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სამწუხაროა ის, რომ ისევ არაფორმალურ მმართველობამდე მივდივართ.

ნანობს ამ ადამიანს ყველა – როგორც „ქართული ოცნების" პოლიტიკური გუნდი, ასევე, ყველა მისი მხარდამჭერი. ყველა ის ადამიანი, რომელმაც, პოლიტიკურად თუ აპოლიტიკურად, მხარი დაუჭირა დავით ნარმანიას მერობას.

სამარცხვინოა, როცა ისეთ ინციდენტებში, როგორიც 17 მაისს მოხდა, საკრებულოს უმრავლესობის დეპუტატი ერევა. საუბარი მაქვს ჯაბა ჯიშკარიანზე. ზოგადად, კონფლიქტებში ჩართვა არ არის დეპუტატის საქმე. მით უმეტეს, როცა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს საქმეს ურჩევ იმაზე – უნდა გააკრას თუ არა პლაკატი.

რა უყონ ამ დეპუტატებმაც დავით ნარმანიას გაბანძებულ ავტორიტეტს, ჯაბა ჯიშკარიანსაც კი არ ეხალისებოდა იქ დგომა და საქმის გარჩევა, მაგრამ რა ქნას, მის კისერზეცაა პასუხისმგებლობა და თან ჩვეულებრივი სოლიდარობის ამბავი იყო. მოუწიათ დავით ნარმანიას დაცვა.

თუ არ ჩავთვლით ია მაკასარაშვილს, რამინა ბერაძეს და მალალურაძეს, სხვას არავის აღარ ეხატება გულზე დავით ნარმანია. იქ ვიყავით და ვხედავდით, როგორ ერთი სული ჰქონდათ, როდის მორჩებოდა დავით ნარმანია გამოსვლას, რომელიც არაფრისმომცემი არ იყო. ყველაფერი, რაზეც ისაუბრა, იყო ანეკდოტი, რომელიც არანაირ სიახლეებს არ შეიცავდა. გვიმტკიცებდა, რომ იმ მერიაში, სადაც გაუნათლებლები და ოროსნები სხედან, ყველაფერი კარგადაა.

მთავარი ამ პროცესებში მაინც ის იყო, რომ რაც ბიძინა ივანიშვილს უნდოდა, მოხდა წარმატებულად. უნდოდა, რომ ყველაფერი, რაც მის სახელს უკავშირდებოდა, დავით ნარმანიაზე გადამტყდარიყო. ყველა მის ცოდვაზე პასუხი იყო გასაცემი ხალხისთვის და ასეთად დავით ნარმანია საუკეთესო საშუალება გახლდათ მისთვის.

ხელი შეახოცა ამ ადამიანს და ამიტომაცაა ცოდვა ნარმანია. მონაა ჩვეულებრივი და თავსაც ვერ იხსნის ამ მონობიდან. ეტყვიან და უნდა გააკეთოს, სხვა რა გზა აქვს. ყველა დარტყმა ამ ადამიანმა მიიღო.



## 18 წლის ახალგაზრდების ბერად აღკვეცასთან დაკავშირებით საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს



საქართველოს საპატრიარქო ორი ქართველი ახალგაზრდის საბერძნეთში ბერად აღკვეცის თაობაზე განცხადებას ავრცელებს.

როგორც საპატრიარქოს ვებგვერდზე გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, არქიმანდრიტი დიონისე არის საბერძნეთის ეკლესიის მღვდელმსახური და მას საქართველოს ეკლესიის წევრების აღკვეცა სათანადო ნებართვის გარეშე არ უნდა განეხორციელებინა.

– უკვე სამი დღეა ინტერნეტსივრცეში დაიდო ინფორმაცია თბილისის სასულიერო სემინარიის I კურსის სტუდენტ მათე შენგელიასა და ახალგაზრდული ევროპარლამენტის წევრ, მეთორმეტე კლასის მოსწავლე გიორგი ქათამაძის შესახებ, რომლებიც საბერძნეთში არქიმანდრიტ დიონისეს (გვარად კოლუმბოკასი) მიერ დიდ სქემაში აღიკვეცნენ.

პირადი საუბრებით ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზეც, თითქოს ეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მოხდა, რაც რეალობას არ შეესაბამება. ეს ორი ახალგაზრდა ადრე სხვადასხვა ღონისძიებაზე რამდენჯერმე ესტუმრა საპატრიარქოს. მათდამი იყო კეთილგანწყობა, მაგრამ აღნიშნულ თემაზე საუბარი არასოდეს არავისთან შემდგარა.

ახლახან კი ისინი უკვე აღკვეცილები წარუდგნენ მის უწმინდესობას სამების საკათედრო ტაძარში წირვის დროს და იქ უთხრეს მომხდარის შესახებ. შევნიშნავთ, რომ არქიმანდრიტი დიონისე (კოლუმბოკასი) არის საბერძნეთის ეკლესიის მღვდელმსახური და მას საქართველოს ეკლესიის წევრების აღკვეცა არ უნდა განეხორციელებინა ჩვენი მხრიდან სათანადო ნებართვის გარეშე; მით უმეტეს, აღნიშნული პიროვნებები არიან 18-20 წლისანი და მორჩილად ყოფნის პერიოდიც არ აქვთ გავლილი.

არქიმანდრიტ დიონისესგან ეს არის მორიგი სერიოზული დარღვევა და უხეში არასწორი ქმედება. დიდ-სქემოსანმა ბერმა ირინეოსმა, (იგივე მათე შენგელია) და დიდ-სქემოსანმა ბერმა იერონიმემ (იგივე გიორგი ქათამაძე) არჩევანი თვითონ გააკეთეს და ისინი ამიერიდან საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას აღარ ეკუთვნიან, - ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში. (ambebi.ge)

## ლევან ბერძენიშვილი ე.წ. კაბელების საქმეზე - იმან, რომ ხუთივე დამნაშავე ერთნაირად არის დამნაშავე, გამიჩინა განცდა, რომ არც ერთს არ ეკუთვის შვიდი დღეც კი



– ე.წ. კაბელების საქმე ძალიან ჰგავს „ფოტოგრაფების საქმეს“, რომელიც, იცით, როგორც დამთავრდა - იმედი მაქვს, ეს საქმეც ასე დამთავრდება, - ამის შესახებ „რესპუბლიკელმა" დეპუტატმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა.

რაც შეეხება მსჯავრდებული პირების პრეზიდენტის მიერ შეწყალების შესახებ „ეროვნული ფორუმის" წინადადებას, ბერძენიშვილის თქმით, პრეზიდენტი შეწყალების უფლებას მიმართვის გარეშეც ფლობს.

– ვფიქრობ, პრეზიდენტი თავად მიიღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწდეს, რომ სამართლებრივი გზები ამოწურული არ არის. იმედი მაქვს, მომდევნო სასამართლო მაინც გაითვალისწინებს იმას, რომ როგორც ჩანს, ვერ შეგროვდა სათანადო მტკიცებულებები დამნაშავეობის განსასაზღვრად. ჩემზე, როგორც ყოფილ პატიმარზე, ძალიან მძიმედ იმოქმედა იმან, რომ ხუთივე დამნაშავე აბსოლუტურად ერთნაირად არის დამნაშავე და ხუთივეს შვიდ-შვიდი წელი ეკუთვნის, საიდანაც გამიჩნდა განცდა, რომ არც ერთს არ ეკუთვის შვიდი დღეც კი, - ამბობს ლევან ბერძენიშვილი.

მან ისიც აღნიშნა, რომ „კაბელების საქმესთან“ დაკავშირებით „რესპუბლიკელების" პოზიცია იმთავითვე ნათელი იყო.

– ჩვენ ამ საქმის დაწყების დღიდან ვწევდით წინააღმდეგობას. პოლისაბჭოზე ვთქვით, რომ საქმე იყო პოლიტიკური და არ იყო სწორი. ამის შემდეგ თითქმის მთელმა ფრაქციამ ხელი მოვაწერეთ თავდებობას, ხოლო მინისტრმა თინა ხიდაშელმა ეს ხალხი სამსახურში დააბრუნა, - აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ე.წ. სამხრეთ ოსეთში ხიზილალით დატვირთული ავტომობილი დააკავეს



ე.წ. სამხრეთ ოსეთის „მესაზღვრეებმა" ცხინვალის რაიონის სოფელ ოტრეუსთან ოკუპირებული რეგიონის რამდენიმე მკვიდრი და საქართველოს რამდენიმე მოქალაქე დააკავეს, რომლებიც 80 კილოგრამი წითელი ხიზილალის გადატანას ცდილობდნენ.

– დაკავებულებს 80 კილოგრამი წითელი ხიზილალა და 40 შეფუთვა თხევადი სასუქი აღმოაჩნდათ. ტვირთი ამოღებულია და მომხდარის ყველა დეტალი დგინდება, — აცხადებენ ე.წ. სასაზღვრო სამსახურში. ამავე ინფორმაციის მიხედვით, გასულ წელს ე.წ. მესაზღვრეებმა ავტომობილი დააკავეს, რომლითაც „საზღვარზე" 200 კილოგრამი ხიზილალის გადატანას ცდილობდნენ. (kvira.ge)

## ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია — ზაფხულის დადგომასთან ერთად „ზიკას“ ვირუსი შეიძლება ევროპაში გავრცელდეს



ზაფხულის დადგომასთან ერთად, ზიკას ვირუსი შეიძლება ევროპის ქვეყნებში გავრცელდეს. ამის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განცხადებაშია ნათქვამი.

– არსებობს ევროპის რეგიონში „ზიკას" ვირუსის გავრცელების საშიშროება. ჩვენ მოვუწოდებთ ქვეყნებს, რომლებიც პოტენციური საფრთხის ზონაშია, რომ მათ ვირუსთან საბრძოლველად ყველა აუცილებელი ზომა მიიღონ, — განაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ჟუჟანა იაკაბმა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რუკაზე ევროპის რეგიონი 50 ქვეყანას მოიცავს, სადაც საერთო ჯამში, 900 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. აქედან, ორგანიზაციის მონაცემებით, „ზიკას" ვირუსი 18 ქვეყანას ემუქრება, ძირითადად, შავი ზღვის რეგიონში. (kvira.ge)

## რუსუდან შარაძე: მინდა, ყველაფერი გიამბოთ, მაგრამ ვშიშობ...



აკადემიკოს გურამ შარაძის მკვლელობიდან 9 წელი სრულდება. მომხდარი დანაშაულის განახლებული გამოძიება 2 წელია მიმდინარეობს. როგორც გურამ შარაძის ქალიშვილი აცხადებს, საგამოძიებო პროცესის მიმართ ოპტიმისტურადაა განწყობილი და დარწმუნებულია, რომ სამართალი იზეიმებს.

– ბევრი საუბრის უფლება არ მაქვს. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ჩემი მოთხოვნები, რაც კი აქამდე საკითხი დამიყენებია, ყველა ფორმით კმაყოფილდება. ამის გამო ძალიან მადლობელი ვარ ბატონი ირაკლი შოთაძის. გამოძიება მიმდინარეობს, საქმეს უძღვება ძალიან გამოცდილი გამომძიებელი გიორგი ლომთაძე. დიდი იმედით ვუყურებ ამ პროცესს. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, ყველაფერი დასრულდება ჩვენს სასარგებლოდ. პროცესი მარტო პროკურატურაზეც არაა დამოკიდებული, მოწმეებიც ხომ უნდა გამოჩნდნენ და თქვან, რაც დაინახეს საკუთარი თვალით. მამაჩემის მკვლელობას ჰყავს ათეულობით თვითმხილველი, გადაღებულია ფირზეც, მაქსიმალურად ხდება ამ ფირიდან ინფორმაციის ამოღება. ძალიან მინდა, ყველაფერი გიამბოთ, მაგრამ ვშიშობ, ყველაფერი არ გავაფუჭო ჩემი სულსწრაფობით.

საქმის პროკურორთან კომუნიკაცია მაქვს ყოველდღიური. ვხვდები როგორც მთავარ პროკურორს, ისე ბატონ გიორგი ლომთაძეს. ვთანამშრომლობთ და ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე ნაბიჯს არ ვდგამთ. მაქვს იმედი, რადგან საქმე საიმედო ხელშია. სამართალი აუცილებლად იზეიმებს! - განაცხადა შარაძემ. (რეპორტიორი)

## თამაზ მეჭიაური: თუ პრეზიდენტი ე.წ. კაბელების საქმეზე მსჯავრდებულებს შეიწყალებს, მადლობა ბიძინა ივანიშვილს უნდა გადავუხადოთ



– თუ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ე.წ. კაბელების საქმეზე მსჯავრდებულებს შეიწყალებს, ბიძინა ივანიშვილსაც უნდა გადავუხადოთ მადლობა, - ამის შესახებ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თამჯდომარე თამაზ მეჭიაურმა განაცხადა.

მისი განმარტებით, ივანიშვილს მადლობა იმიტომ ეკუთვნის, რომ გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტად სწორედ მისი დანიშნულია.

– რაც შეეხება შეწყალებას, ეს გიორგი მარგველაშვილის გადასაწყვეტია, მაგრამ თუ პრეზიდენტი შეიწყალებს, ასევე, ბიძინა ივანიშვილს უნდა გადავუხადოთ მადლობა, ხალხო, იმიტომ, რომ იმან დანიშნა მარგველაშვილი. თუ მარგველაშვილი ამათ შეიწყალებს და კარგი კაცია, მაშინ ბიძინა ივანიშვილს კარგი კადრი შეურჩევია. ის მოსამართლეები თუ ცუდები არიან, გალანძღეთ სააკაშვილი, იმიტომ, რომ იმან დანიშნა ისინი, - განაცხადა მეჭიაურმა.

ე. წ. კაბელების საქმეზე მსჯავრდებული პირების შეწყალების თხოვნით საქართველოს პრეზიდენტს „ეროვნულმა ფორუმმა“ მიმართა. (rustavi2.com)

**რკინის ლოგიკაა, ვერაფერს იტყვი, მაგრამ მეორე მხარეც აქვს ამ ამბავს — ზუსტად ამ ლოგიკით, ჩემო ბატონო, ბიძინა ივანიშვილს უნდა მოსთხოვოს ხალხმა პასუხი კოჰაბიტაციისთვის, რადგან ერთ-ერთი ყველაზე მთავარი დაპირება სწორედ მან და მისმა პარლამენტმა და მთავრობამ არ შეასრულეს — სამართლიანობის აღდგენას ვგულისხმობთ. ჰოდა, ამაზე რას იტყვის ბატონი თამაზი?!**

## „სტივ რასელის განცხადების ავტორი თემურ იაკობაშვილია“



ბოლო პერიოდში აშშ-ის პოლიტიკურ სივრცეში აქტუალური გახდა ქართული თემატიკა. აშშ-ის კონგრესის სესიაზე, კონგრესმენ სტივ რასელის გამოსვლა ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა საშიშ გზავნილად აღიქვა. თუმცა მოგვიანებით კონგრესმენ თედ პოს კეთილგანწყობილმა განცხადებამ სიტუაცია ოდნავ გამოასწორა და განმუხტა, მაგრამ დასავლეთის დამოკიდებულება მაინც განსჯის თემად რჩება.

სწორედ ამ თემაზე „ფოსტალიონთან“ ისაუბრა ყოფილმა პარლამენტარმა ირაკლი გოგავამ:

– მე ვნახე კონგრესმენ რასელის გამოსვლა ორიგინალში ინგლისურ ენაზე და ყურადღება მივაქციე ერთ გარემოებას, რომ ივანიშვილის გვარი ძლივს ამოიკითხა, ჩანდა, რომ ის ამ გვარს პირველად ან მაქსიმუმ მეორედ კითხულობს. მისი გამოსვლის ტექსტი არ არის ამერიკულ სტილში დაწერილი, ამ გამოსვლის ავტორი თემურ იაკობაშვილია.

იაკობაშვილი 2012 წლის შემდეგ მუდმივად იმყოფება ვაშინგტონში, სადაც სააკაშვილმა მას ოფისი გაუხსნა და ის კოორდინაციას უწევს სააკაშვილის ლობისტების საქმიანობას ვაშინგტონში. როგორც ჩემი ამერიკელი მეგობრები მეუბნებიან, ის და მისი პერსონალი ძალიან აქტიურად მუშაობენ და ყოველდღიურ რეჟიმში ხვდებიან ამერიკელ პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, მკვლევარებს. მათ აქვთ ორი მესიჯი: 1. „ივანიშვილი არის რუსი ოლიგარქი და „გაზპრომის“ აქციონერი“, 2. „სააკაშვილი უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში“.

ასეთი ოფისის შენახვა ვაშინგტონში მინიმუმ მილიონ დოლარამდე ჯდება, თუმცა „ნაციონალებს“ ფული არ უჭირთ, სააკაშვილმა 9 წლის განმავლობაში გაძარცვა საქართველო და ამ ნაძარცვის მცირე ნაწილი, ახლახან იპოვეს კიდევაც ოფშორული სკანდალის ფარგლებში კეზერაშვილის სახელზე, სადაც 24 მილიონი დოლარი აგვისტოს ომიდან 10 დღეში იყო გადარიცხული. ყველამ ვიცით, რომ კეზერაშვილი სააკაშვილის მოლარე იყო და ეს ოფშორები პირადად სააკაშვილისაა, - განაცხადა გოგავამ. (რეპორტიორი)

## უვადო პატიმრობამისჯილთა ნაწილმა შიმშილობა გამოაცხადა



გლდანის მე-8 დაწესებულებაში რამდენიმე ათეულმა უვადო პატიმრობამისჯილმა შიმშილობა გამოაცხადა.

როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში აცხადებენ, მათი რაოდენობა 42-ს შეადგენს.

მსჯავრდებულები 2012 წლის დეკემბრის ბოლოს, პარლამენტის მიერ მიღებულ „ამნისტიის შესახებ“ კანონში არსებული ხარვეზის გასწორებას მოითხოვენ. გლდანის მე-8 დაწესებულებაში სულ 58 უვადო პატიმრობამისჯილი პირია მოთავსებული. (kvira.ge)



# „იმედი იმისა, რომ 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ რამე უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, ფუჭ ოცნებად დარჩა“

**პარტია „ქართული ოცნების“ დატოვების გადაწყვეტილება თითქმის მიღებული აქვთ დეპუტატ თამაზ მეჭიაურს და „მრეწველებს“, რომლთაც გამოკვეთილი პრორუსული ორიენტაცია აქვთ. პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის განმარტებით, გავა დრო და საზოგადოება დარწმუნდება ვის ინტერსებშია, არ მოხდეს როგორც ევროპასთან დაახლოვება, ასევე, ვიზის ლიბერალიზაცია — საკმაოდ უმნიშვნელო ნაწილია პრორუსული განწყობით მოწამლული.**

– ვფიქრობ ყველა აცნობიერებს, რომ დადგა დრო საკუთარი თავის განლაგებისა შესაბამის პოლიტიკურ სივრცეში. არავისთვის არის საიდუმლო, რომ „მრეწველები“ ეცდებიან შეუერთდნენ „პატრიოტთა ალიანსს" და ამ ორმხრივი სიმპატიების შესახებ იყო საუბარი. თუ იმავე მიმართულებით დააპირებს გადაადგილებას ბატონი მეჭიაური, ზოგიერთ „პატრიოტს“ მოუწევს არაპატრიოტული გადაწყვეტილების მიღება.

**— მეჭიაური ამბობს, რომ მის აზრს იზიარებს უმრავლესობის გარკვეული ნაწილი და ასევე, თანამოაზრეები ჰყავს პარლამენტს გარეთაც. ერთი მეჭიაურია პრობლემა, თუ „ქართული ოცნების რიგებში არიან ბევრი მეჭიაურები, რომელთა საგარეო ორიენტაცია არის რუსეთი?**

– არ მგონია, რომ მნიშვნელოვანი უმრავლესობა იყოს ამ განწყობით მოწამლული. მათი მცირე ნაწილი საჯაროდ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას და ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი არც პიროვნულად და არც პოლიტიკურად საფრთხეს არ წარმოადგენენ, რადგან თავადვე გაშიფრეს საკუთარი თავი და ყველასთვის ცხადია, რომ თუ არ შეუერთდნენ უფრო ძლიერ პოლიტიკურ სუბიექტს, სერიოზულ მხარდაჭერას ვერ მოიპოვებენ. რასაკვირველია, რომ თითიდან გამოწოვილია მეჭიაურის განცხადება იმის შესახებ, რომ ზედმეტად ოპტიმისტები ვართ ნატოსთან ურთიერთობის საკითხებში და თურმე იმიტომ არის სხვა პოზიციის მატარებელი, თურმე იცის, რომ საქართველო წელს არ გახდება ნატოს წევრი.

**— ეს რამდენად სწორი ლოგიკაა?**

– ცოტა შეუთავსებელი ლოგიკაა. თან დარდობს, რომ ვიღაცა ოპტიმისტია ნატოსთან ურთიერთობის საკითხებში, თან დარწმუნებულია, რომ ნატოში გაწევრიანება გამორიცხულია. დალოცვლილო, თუ ზუსტად იცი, რომ ნატოში ვერ მოვხდებით, რაღას წუხხარ? იწუხონ მათ, ვისაც სურს, რომ წლის ბოლომე გახდნენ ამ ორგანიზაციის წევრები. სრულიად ხელოვნურია მისი ეს განწყობები. მე მგონია, რომ თვითონაც არ იცის კარგად რა სურს.

ვრჩები საკუთარ აზრზე, რომ მისი უდროო გამონათქვამები, გაკეთებულია ბატონი ივანიშვილის პოზიციების შესაფასებლად. გამომდინარე იქიდან, რომ არავის ახსოვს როდის იხმარა ბატონმა ბიძინამ სიტყვა – ნატო. ალბათ, მისთვისაც საინტერესოა, როგორი იქნებოდა საზოგადეობის რეაგირება, თუ ნატოზე აღარ იქნებოდა საუბარი. ამ კითხვის ავტორმა აშკარა პასუხი მიიღო საზოგადოებისგან, რომ მიუღებელია ყოველივე უკუსვლის მცდელობა იმ ვექტორისგან, რომელიც შექმნილია და დაცულია საქართველოს მოსახლეობის მიერ.

**— ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ქვეყანაში არსებულ რუსულ რბილ ძალაზე. ხომ არ ფიქრობთ, რომ სწორედ რბილი ძალა დგას ამ ადამიანების უკან და მათი გამოყენებით ხდება საზოგადოებრივი აზრის შესწავლა? მეჭიაური, თოფაძე, ტყემალაძე — საქართველოს პარლამენტში სწორედ ეს სამეული აკეთებს საქართველოს საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით განცხადებას...**

– ვფიქრობ, ბატონი გოგი თოფაძის ფრაზეოლოგია მხოლოდ მისია და არა ვინმეს მიერ შეთავაზებული. დიახ, ასეთი ხედვის გახლავთ ეს ადამიანი. იგი ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებას, როგორც ბიზნესში, ასევე პოლიტიკაში და გასაკვირი არაფერია, მაგრამ პრორუსულობას არ დავარქმევდი მათ განცხადებებს, უფრო პროსაბჭოურობაა თითოეულ იმ გამონათქვამში, რასაც ვისმენთ ბატონი გოგისგან, რადგან იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც კარგად ახსოვს საბჭოთა პერიოდი, იმ ნიშნით, რომ ეს იყო ქვეყანა, სადაც ტერმინი უმუშევარი არ არსებობდა. უმუშევარს მუქთახორას ეძახდნენ, აკავებდნენ და სადღაც სამსახურში განაწესებდნენ.

**— რასაკვირველია, ასეთი ნოსტალგია შეიძლება საფუძვლიანი იყოს ადამიანებისთვის, ვისაც წარსულთან ჰქონდათ შეხება, მაგრამ ჩვენი უბედურება გახლავთ ის, რომ არც ხელისუფლება და არც სამოქალაქო საზოგადოება არ დგამს აუცილებელ ნაბიჯს იმისათვის, რომ ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი და მით უმეტეს ამომრჩეველი, ინფორმირებული იყოს, თუ რა განსხვავებაა საბჭოთა კავშირის დროინდელ მოსკოვსა და 21-ე საუკუნის მოსკოვს შორის.**

– ეს ერთმანეთთან სრულიად შეუდარებელი ცნებებია და თუ ვინმეს გონია, რომ ადამიანი, ადამიანის მეგობარია, როგორც ამას სოციალისტური კავშირის მქონე ქვეყანა საუბრობდა, ხოლო დასავლეთში ადამიანი, ადამიანისთვის მგელია, მოდით, გავაგებინოთ ჩვენს ჭურში მსხდომ მოქალაქეებსაც, რომ დიდი ხანია ვეფხვები და ნიანგები გახდნენ. რაიმე პერსპექტივა იმისა, რომ კრემლის დღევანდელი შემადგენლობის პირობებში შესაძლებელია დემოკრატიის განვითარება, ნამდვილად წარმოუდგენელია. ამიტომ, რაც მეტი დასაბუთებული ინფორმაცია გვექნება და არა პოლიტიკური ფრაზეოლოგიით შენიღბული, მით უფრო თვალს გავახელთ, დავფიქრდებით და ამის შემდეგ ჩვენზე ვერც რბილი ძალა იმოქმედებს და ვერც ხისტი.

**— სწორედ საგარეო ორიენტაცია გახდა კოალიციის დაშლის მიზეზი და პირველი იყვნენ „თავისუფალი დემოკრატები“, რომლებიც 21 მაისიდან ქუჩის აქციებს იწყებენ და ამის მიზეზი გახდა ე.წ. კაბელების საქმის განაჩენი. რა პოლიტიკური შედეგი შეიძლება მოჰყვეს საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით პროცესების ქუჩაში გადანაცვლებას?**

– გავა დრო და დავრწმუნდებით, ვის ინტერსებშია გაუთავებელი შფოთი, ვინ არის დაინტერესებული, რომ არ მოხდეს როგორც ევროპასთან დაახლოვება, ასევე, არ მოხდეს ვიზის ლიბერალიზაცია და მათ შორის ყველაზე მგრძნობიარე და მიუღებელი ქართული საზოგადოებისთვის, როგორც არის სამართლიანობის მონატრება. იმედი იმისა, რომ 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ რამე უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, ფუჭ ოცნებად დარჩა. უფრო მეტი, აზრთა გამრიგენი დღევანდელი რეალობისა თავად ტკბებიან იმ უსამართლობის აპოთეოზით, რომელსაც ამჟამად ვაწყდებით უკვე ე.წ. კაბელების საქმეზე.

თუმცა, ეს ის ხალხია, ვინც ე.წ. ტრაქტორების საქმეზეც კმაყოფილებით იცავდნენ უსამართლობას. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. ქართველმა ხალხმა კარგად იცის რა არის სამართლიანობა, ვინ ზღუდავს და გვაძალებს, რომ ქართული მართლმსაჯულების ყველაზე სანდო ფიგურად წარმოვაჩინოთ ვინმე მურუსიძე. რასაკვირველია, ასეთი პოზიციის გამო, მას მოუწევს პასუხისგება გაჯანსაღებული ქართული მართლმსაჯულების წინაშე, რისი მოლოდინიც უნდა გვქონდეს რამდენიმე წელიწადში.

**— დაანონსებული ქუჩიის აქცები იქნება შედეგზე ორიენტირებული?**

– უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაც მეტი შფოთი იქნება ჩვენს ქვეყანაში, მით უფრო ნაკლები იქნება ევროპელთა სურვილი ჩვენთან დაახლოვებისა და თანამშრომლობის. ალბათ, ყველამ საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ, მოვითმინოთ ორიოდე თვე, თუ დღესვე ვილაპარაკოთ იმ უბედურებაზე, რაც თავს დაგვატყდა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. მოლოდინი, რომელიც საქართველოს მოსახლეობას 2012 წლის ოქტომბრიდან გაუჩნდა, ყოფილა მხოლოდ უვერტიურა, არც თუ ნაკლები საფრთხის შემცველი წარმოდგენისთვის, რომელიც ადრე სააკაშვილის დირიჟორობით სრულდებოდა, ახლა კი ყოველივე ამას ბატონი ივანიშვილი დირიჟორობს. (for.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სანამ თქვენ რამე მოგაფიქრდებათ, ხალხი იღუპება!!!



– გადასახედია ყველაფერი, რაც სიტყვით „ონლაინ“ იწყება, - ამის შესახებ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე ნოდარ ებანოიძემ ონლაინკაზინოებთან დაკავშირებული საკითხის კომენტირებისას განაცხადა.

– რაც სიტყვა „ონლაინის" ქვეშ არის, ყველგან გვჭირდება საკითხების გადახედვა - იქნება ეს ონლაინსესხების თუ ონლაინკაზინოების თემა. როგორც ვიცი, ამასთან დაკავშირებით მომზადებულია პროექტი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ. ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ და ვნახოთ რისკები, რაც აღნიშნულ საკითხს შეიძლება თან ახლდეს. ჯერ ნამდვილად ვერ ვიტყვი, როგორი შეიძლება იყოს პარლამენტის გადაწყვეტილება, ონლაინკაზინოების საკითხს სჭირდება მსჯელობა და შემდგომ შესაბამისი პოზიციის ჩამოყალიბება, - აცხადებს ნოდარ ებანოიძე. (ინტერპრესნიუსი)

## ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მეუფის რეზიდენცია დაიწვა



ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მეუფის რეზიდენცია დაიწვა. სოფელ კორცხელში ივერიის ღვთისმშობლის სახელობის დედათა სამონასტრო კომპლექსში ხანძარს მეხანძრეები 3 საათის გამავლობაში აქრობდნენ. დამწვარია შენობის სხვენი, ხანძარი სავარაუდოდ, სწორედ აქ გაჩნდა.

ხანძრის გამომწვევი მიზეზი ამ ეტაპზე უცნობია, ერთ-ერთ ვერსიად ელექტროსადენები სახელდება.

რეზიდენციიდან ხატების და სიწმინდეების გამოტანა დროულად მოხერხდა, ზარალის ოდენობა უცნობია. (პირველი რადიო)

## ნავთობზე ფასი გაიზარდა



Goldman Sachs-ის ახალი პროგნოზის ფონზე, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

უკანასკნელი მონაცემებით, „ბრენტის“ მარკის ნავთობის ფასმა ბარელზე 48,47 აშშ დოლარს მიაღწია, რაც წინა მონაცემებს 64 ცენტით აღემატება. WTI მარკის ნავთობი 1,3 პროცენტით გაძვირდა და ბარელზე მისმა ფასმა 46,81 აშშ დოლარი შეადგინა.

Goldman Sachs-ის პროგნოზის თანახმად, ნავთობის ბაზარს დეფიციტი ელოდება. სპეციალისტების მოსაზრებით, წლის მეორე კვარტლის შემდეგ ნავთობმოპოვების მოცულობა შემცირდა, რაც განპირობებულია თავდასხმებით ნიგერიის მილსადენებზე და ტყის ხანძრებით კანადაში.

თუმცა ამასთანავე, Goldman Sachs-ში აცხადებენ, რომ მომავალი წლის დასაწყისში ბაზარს კვლავ გადაჭარბებული შეთავაზება ელოდება, რაც გამოწვეულია ირანსა და ერაყში ნავთობმოპოვების მოცულობის ზრდით.

ანალიტიკოსების პროგნოზით, 2017 წლის დასასრულს, ნავთობის მსოფლიო ფასი 60 აშშ დოლარამდე გაიზრდება.

როგორც Goldman Sachs-ის ანგარიშშია ნათქვამი, მიმდინარე წლის მეორე ნახევარში მოთხოვნამ ნავთობზე შესაძლოა, თვეში 1,4 მილიონ ბარელს მიაღწიოს, რაც პროგნოზირებადზე 200 მილიონი ბარელით მეტია.

ამასთანავე, აშშ-ში მიმდინარე თვის ნავთობის მარაგმა ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია 1929 წლის შემდეგ. (bpn.ge)

## გერმანიის პარლამენტი სომეხთა გენოციდის აღიარების საკითხს განიხილავს



გერმანიის პარლამენტი სომეხთა გენოციდის აღიარების საკითხის განიხლვას აპირებს. ბუნდესტაგში განხილვა, 1915 წელს მომხდარი ხოცვა-ჟლეტის საკითხზე, რომელსაც 800 000-დან 1,5 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 2 ივნისისთვის არის ჩანიშნული.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ შტაინმაიერი საკითხის განხილვით შეშფოთებულია. მინისტრის თქმით, იგი იმედოვნებს, რომ გერმანულ-თურქული ურთიერთობები საკითხის გამო არ დაიძაბება.

თურქეთისთვის ეს ძალიან სენსიტიური საკითხია, თუ ბუნდესტაგი აღიარებს გენოციდს, მოსალოდნელია, რომ ანკარა გერმანიიდან თავის ელჩს გამოიწვევს და ევრო-თურქული საემიგრაციო შეთანხმების მოქმედება სათუო გახდება.

ჯერჯერობით უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ბუნდესტაგი. (euroline.ge)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. „... დედინაცვალი“
2. მწერალი ჟორჟე ...
3. ... ევდოშვილი
4. მხატვარი ამედეო ...
5. მსახიობი ედიშერ ...
6. ბალახი. ამზადებენ მწნილს
7. წყლის ძლიერი ჭავლი, რომელიც მოედნის ცენტრში ამოდის
8. დიდი კაშკაშა მეტეორი
9. მომღერალი ... ბადურაშვილი
10. დეკორატიული ხე
11. ... მეფობენ და არა მეფენი
12. სოფელი ხაშურის რაიონში
13. მსახიობი ნიკ ...
14. რეჟისორი ფრანკო ...
15. იაპონიის ძველი დედაქალაქი
16. მსახიობი მაკოლეი ...
17. ლითონი
18. რეჟისორი როჟე ...
19. გრძელი ხალიჩა
20. კომპოზიტორი ... მურადელი
21. აბატი პრევო „... ლესკო“
22. ბიბლიური მოსეს ძმა
23. მწვანე ადგილი უდაბნოში
24. სასახლე ბაბილონში
25. ბოლოკის სახეობა
26. ნიანგის სახეობა
27. მეფის სასახლე ესპანეთში
28. ჩიტების დასაჭერი საცერი
29. მაიმუნის სახეობა
30. ... ხაიამი
31. საწვიმარი მოსასხამი
32. საკეტი
33. მწერალი თომას მანი ...
34. მწერალი ემილ ...
35. სტალინის დედა
36. ნარდის სათამაშო კუბები
37. ფრანგული ხალხური ცეკვა
38. ხელის ერთთვლიანი საზიდარი
39. მსახიობი ... ვარდალოსი
40. პოეტი ... ასათიანი
41. სისხლისმწოველი მწერი
42. „12სკამი“ ... ბენდერი
43. მეიგავე ... კრილოვი
44. ღია საზაფხულო კაბა
45. ლიტვის დედაქალაქი
46. მიმიკის უქონლობა
47. ფირმა „...-პარი“
48. ავტოსაგზაო შემთხვევა
49. თანხმობის ფორმა
50. სოფოკლეს ტრაგედია
51. რეპტილია
52. ახალი ზელანდიის მკვიდრი
53. ვაზის ჯიში
54. ... კუზანოვი
55. იგი წურბელებს აგროვებდა
56. აკაკი წერეთლის ლექსი
57. თეატრის ყველა სპექტაკლი
58. მხატვარი კამილ ...
59. „დონ კიხოტის“ კომპოზიტორი
60. ცხენების სარბენი ადგილი
61. ორკესტრის ხელმძღვანელი
62. დუმბაძე. „... კანონი“
63. მიწათმოქმედების სპეციალისტი
64. ინფექციური დაავადება
65. ნამცხვარი
66. „20000 ... წყალქვეშ“
67. პურის სოკო
68. ლატვიის დედაქალაქი
69. გაზი, ანუ ...
70. მამალი კვიცი
71. მოჭიდავე ... მეკოკიშვილი
72. მსახიობი ... რენო
73. სახელმწიფო აფრიკაში
74. სისველე, სინოტივე
75. ვიეტნამის დედაქალაქი
76. ქართ. ეპოსის გმირი
77. მსახიობი ... ტომპსონი
78. პირბადე
79. ბალერინა ნინო ...
80. ყაიმი
81. ჟამი
82. ნახ. კუნძული აზიაში
83. ფუნდამენტში განლაგებული სათავსო
84. ისტორიული კრეისერი
85. მსახიობი ... სხირტლაძე
86. ყორღანი ვოლგოგრადთან
87. იაპონური თეატრი
88. მთები ...-შანი
89. აკაკი წერეთლის ნაწარმოები
90. რეჟისორი ... იოსელიანი
91. ... ჭრის და ... კერავს
92. კავშირებითი სიტყვა
93. მესია ... ქრისტე
94. მწერალი ერიხ ... რემარკი
95. მგალობელი ფრინველი
96. „ორი ბატონის ...“
97. ანტიკური საბერძნეთი
98. აკრძალვა ვაჭრობაში
99. ბედი
100. ნანული სარაჯიშვილი ფილმში
101. ჩოგბურთელი ... ნავრატილოვა
102. მსახიობი მეგ ...
103. სომხეთის ძველი დედაქალაქი
104. სესილია თაყაიშვილის როლი
105. შინაარსი, ანუ ...
106. მახრჩობელა გველი
107. კვირის დღე
108. ბოსტნის მავნებელი მწერი
109. ამერიკული თოჯინა
110. მშვილდით სასროლი ჯოხი
111. მსახიობი ... დელონი
112. პირველი სამნიშნა რიცხვი
113. ლაიზა მინელი ფილმში
114. ყველაზე მტკიცე მინერალი
115. უკრაინული ავტომობილი
116. მსახიობი ... ჟირარდო
117. მსახიობი ... არტმანე
118. ჟან-კლოდ ... დამი
119. ხმადაბალი ჟღერადობა
120. სინთეზური ვანილი
121. კავშირი, გაერთიანება

პასუხები: 1. სამანიშვილის; 2. ამადუ; 3. იროდიონ; 4. მოდილიანი; 5. მაღალაშვილი; 6. ღანძილი; 7. შადრევანი; 8. ბოლიდი; 9. ნინი; 10. ფიკუსი; 11. დრონი; 12. გომი; 13. ნოლტი; 14. ძეფირელი; 15. ედო; 16. კალკინი; 17. ნიკელი; 18. ვადიმი; 19. ფიანდაზი; 20. ვანო; 21. მანონ; 22. აარონი; 23. ოაზისი; 24. ზიკურათი; 25. თალგამი; 26. ალიგატორი; 27. ალკაზარი; 28. კაკანათი; 29. მირიკინი; 30. ომარ; 31. ლაბადა; 32. რაზა; 33. რიდი; 34. ზოლა; 35. კეკე; 36. კამათელი; 37. ფარანდოლა; 38. ურიკა; 39. ნია; 40. ლადო; 41. კოღო; 42. ოსტაპ; 43. ივანე; 44. სარაფანი; 45. ვილნიუსი; 46. ამიმია; 47. ისი; 48. ავარია; 49. კი; 50. „ანტიგონე“; 51. კუ; 52. მაორი; 53. თითა; 54. ივა; 55. დურემარი; 56. „ღამურა“; 57. რეპერტუარი; 58. კორო; 59. მინკუსი; 60. იპოდრომი; 61. დირიჟორი; 62. მარადისობის; 63. აგრონომი; 64. გრიპი; 65. ეკლერი; 66. ლიე; 67. ობი; 68. რიგა; 69. აირი; 70. ურა; 71. არსენ; 72. ჟან; 73. მაროკო; 74. ნესტი; 75. ჰანოი; 76. ამირანი; 77. ემა; 78. რიდე; 79. ანანიაშვილი; 80. ფრე; 81. დრო; 82. კორეა; 83. სარდაფი; 84. „ავრორა“; 85. დუტა; 86. მამაი; 87. ნო; 88. ტიან; 89. „ბაში-აჩუკი“; 90. ოთარ; 91. თან; 92. რომ; 93. იესო; 94. მარია; 95. იადონი; 96. მსახური; 97. ელადა; 98. ემბარგო; 99. სვე; 100. „მანანა“; 101. მარტინა; 102. რაიანი; 103. ანისი; 104. ასინეთა; 105. არსი; 106. ბოა; 107. შაბათი; 108. მახრა; 109. ბარბი; 110. ისარი; 111. ალენ; 112. ასი; 113. „კაბარე“; 114. ალმასი; 115. „ტავრია“; 116. ანი; 117. ვია; 118. ვან; 119. პიანო; 120. ვანილინი; 121. ლიგა. იკითხება: მადონა. სელინ დიონი. შერი.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ყველაზე უჩვეულო ნაყინი მსოფლიოში



თუ კანადაში მოხვდებით, უთუოდ გასინჯეთ შემწვარი ბეკონის ნაჭრებიანი ნაყინი. ნათქვამია, რომ გემოვნებაზე არ დავობენ...

პარიზი ტყუილ-უბრალოდ როდი მიიჩნევა მსოფლიოს კულინარიულ დედაქალაქად. აქ შეგიძლიათ, გასინჯოთ ეგზოტიკური ნაყინი ფუა-გრათი. დელიკატესი ბატისა და იხვის ღვიძლისგან მზადდება.

დუბაი ყველაფერში პირველობის მოპოვებას ცდილობს, შესაბამისად, იქ შეგხვდებათ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული „ოქროს“ ნაყინი.

ერთი ულუფის ფასი 817 დოლარია და შემკულია საკვებად ვარგისი ოქროს ფხვნილით.

კომპანია STOY მერლინ მონროს, ჩე გევარასა და მულტფილმის გმირების უჩვეულო დიზაინისა და განსაკუთრებული გემოს ნაყინს გვთავაზობს.

ნაზი ნაყინი „მერილინ მონრო“ რძისა და მარწყვის არომატით. ასეთი

შეხამება ჯონ კენედისთან ასოცირდება, ის ხომ ნაღებიან მარწყვზე გიჟდებოდა.

„ჩე გევარა“ ნაღების ნაყინია შოკოლადის გემოთი და რომით.

მსოფლიოში ყველაზე შავი ნაყინი (მოცვის) ფილმი „ვარსკვლავური ომების“ მთავარი პერსონაჟის დარტ ვეიდერის სახით.

მიკი მაუსი მანგოს გემოიანი იოგურტის ნაყინია.

მწარმოებლები ახალი გმირების სახეების შექმნასაც გეგმავენ, რომელთა შორისაც არიან საშინელებათა ფილმების პერსონაჟები: ფრედი კრიუგერი, ჩაკი, პინჰედი და სხვები.

*ambebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## IBM-ის რობოტი ადვოკატი გახდა



საადვოკატო ბიურომ Baker & Hostetler სამსახურში რობოტი მიიღო, რომელიც კომპანია IBM-ის მიერ არის შექმნილი.

ხელოვნური ინტელექტი კომპანიების გაკოტრებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს. ციფრულ ადვოკატს შეუძლია, გაიგოს ადამიანის საუბარი, მოიძიოს ინფორმაცია, პასუხი გასცეს ჰიპოთეზებით და მოიყვანოს არგუმენტები პროფესიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით. ხელოვნური თანაშემწე დიდი რაოდენობით ინფორმაციას ეცნობა და მეტ-ნაკლებად რელევანტურ პასუხებს ტოვებს.

რობოტი, სახელად ROSS, IBM-ის მიერ შექმნილი კოგნიტური სისტემა Watson-ის საფუძველზე მუშაობს. IBM-ის ინფორმაციით, ეს არის პირველი რობოტი-ადვოკატი მსოფლიოში.

საადვოკატო კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორის ბობ კრეიტის განცხადებით, ახალ ტექნოლოგიებს შეუძლია, გაზარდოს მომსახურების ხარისხი, რომელსაც ბიურო საკუთარ კლიენტებს სთავაზობს.

*bpn.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ჩინელმა წყვილმა ქორწილის ღამე კონსტიტუციის გადაწერას მიუძღვნა



ალბათ, აქამდე ფიქრობდით, რომ პასუხს კითხვაზე, რა შეიძლება აკეთო ქორწინების ღამეს, ალტერნატივა არ ექნებოდა, მაგრამ უნდა გაუწყოთ, რომ არსებობს. მაგალითად, კონსტიტუცია გადაწერო.

სწორედ კონსტიტუციის გადაწერაში გაატარა ერთ-ერთმა ჩინელმა წყვილმა ქორწინების ღამე. თანაც, ვერც წარმოუდგენიათ, თუ რაიმე უკეთესიც შეიძლებოდა მოეფიქრებინათ. ამ საქციელით წყვილმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის წინაშე ერთგულება გამოხატა. გარდა ამისა, სურდათ პირველ ღამესთან დაკავშირებით, ტკბილი მოგონებები ჰქონოდათ. შესაშური სიტკბოა პირდაპირ.

ჩინეთის კონსტიტუცია 15 ათასი იეროგლიფისგან შედგება. კამპანია ხელისუფლებამ წამოიწყო და ამ 15 ათასი იეროგლიფის სულ რონინ-რონინ, ხელით გადაწერას ითვალისწინებს. ყველა ვალდებულია, რომ თავისი სამუშაო დროის 2 საათი ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს დაუთმოს. მენეჯერები და ხელმძღვანელები კი, გადამოწმდებიან, რომ ე მანდ ხელქვეითებს არ დააწერინონ და საამაყო პასუხისმგებლობისგან თავის დაძვრენა არ მოინდომონ.

*lenat.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დიდ ბრიტანეთში პატიმრები ციხეში სასჯელის მოსახდელად მხოლოდ უქმეებზე მივლენ



მსჯავრდადებულებზე კონტროლი თანამგზავრების მეშვეობით განხორციელდება. შესაბამისი ტექნოლოგიის გამოცდა სექტემბერში დაიწყება და ნელ-ნელა ქვეყნის ყველა რეგიონს მოედება.

როგორც მოსალოდნელია, აღნიშნული ნაბიჯი, დიდი ბრიტანეთის ციხის სისტემის რეფორმირებაში, ვიქტორიანული ეპოქის შემდეგ უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი იმედს გამოთქვამს, რომ სადამსჯელო სისტემაში რევოლუციის მოხდენას მოახერხებს, რომლის მეშვეობითაც მსჯავრდადებულებს სამუშაო დღეების განმავლობაში ჩვეულებრივი მუშაობის უფლება ექნებათ, რაც ქვეყანასაც წაადგება. თუმცა კონსერვატიული პარტიის ბევრი წარმომადგენელი აღნიშნულ ინიციატივას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

დიდი ბრიტანეთის რეფორმების გათვალისწინებით, მსჯავრდადებულებს ციხეში სასჯელის მოხდის მიზნით მისვლა, მხოლოდ უქმე დღეებში მოუწევთ.

დანარჩენი სამუშაო დღეების განმავლობაში შინ ყოფნა ან მუშაობა შეეძლებათ.

როგორც გამომცემლობა აღნიშნავს, ამ საკანონმდებლო ინიციატივას დედოფალი ელისაბედ I 18 მაისს სიტყვით გამოსვლისას გააჟღერებს.

გამომცემლობა, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ ამ ინიციატივის მიხედვით,

*ipress.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## წყვილმა ქორწინების მოლოდინში 44 წელი გაატარა



ბევრი წყვილი დაქორწინებამდე ერთად ცხოვრობს, რადგან გაიგონ, მზად არიან თუ არა, რომ დარჩენილი ცხოვრება ერთად გაატარონ. თანაცხოვრების პერიოდი შესაძლოა, 1, 2, 3 ან ჰა ჰა 5 წელი გაგრძელდეს. ბოლოს და ბოლოს, წყვილი ხვდება, სურთ თუ არა ერთურთი. ინგლისის ქალაქ ლიდსის მცხოვრებლებს, 85 წლის კოლინ დანისა და 82 წლის სალი სმიტს 44 წელი დასჭირდათ იმის, მისახვედრად, რომ უერთმანეთოდ ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა.

წყვილმა ერთმანეთი 1972 წელს, კლუბ მიდლტონში გაიცნო. სალი ბარმენად მუშაობდა, კოლინი კი სატვირთოს მძღოლი იყო. ხშირად ისხდნენ ერთად და ბევრს ლაპარაკობდნენ. ბოლოს კოლინმა პაემანზე დაპატიჟა და მალევე ერთად ცხოვრებაც გადაწყვიტეს. სალი თავისი 4 შვილით კოლინს ეახლა და ტკბილი ცხოვრებაც დაიწყო.

როგორც წყვილი აცხადებს, ბევრი, გაცილებით მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდათ მოსაგვარებელი და ქორწინებისთვის ვერაფრით მოიცალეს.

დღეს 13 შვილიშვილი და 9 შვილთაშვილი ჰყავთ. ბოლოს და ბოლოს ერთმანეთისთვისაც მოიცალეს და დაქორწინდნენ.

„ლოდინი ამად ღირდა, საუკეთესო დღე იყო და ულამაზესი ტორტი გვქონდა“, – განაცხადა ბედნიერმა პატარძალმა.

*fishki.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## იტალიელმა მზარეულებმა „ნიორი კოცნისთვის“ შექმნეს



მოგეხსენებათ, ნიორი რა გემრიელი და ამავე დროს რა ავი საკმაზია. საკმარისია, ერთი კბილი დააგემოვნოთ და მორჩა, იმ დღეს საყვარელი ადამიანის კოცნა დაივიწყეთ. ნივრის ჭარბი სიყვარულით იტალიური სამზარეულო გამოირჩევა და გასაკვირიც არ არის, რომ სწორედ იტალიელმა მზარეულებმა, ალესანდრო გუანიმ და ლორენცო ბიანკიმ იზრუნეს, რომ წყვილებს გემრიელი ვახშამი ბოლომდე შეერგოთ.

მზარეულებმა ნივრის 50 წლის წინათ მივიწყებული ჯიში აღადგინეს და თავიანთ მომზადებულ საკვებში უკვე აქტიურად იყენებენ. განსხვავება მხოლოდ ერთია – ჩვეულებრივ ნიორს გემოსა და არომატთან ერთად, სუნიც აქვს. ახალ ნიორს კი, მხოლოდ გემო და არომატი, არავითარი სუნი. ახალ ნიორს „ნიორი კოცნისთვის“ უწოდეს.

*rosbalt.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99



– ვანიჩკა, მითხარი, ერთი, ვინ გაიძულებს, ყოველდღე რომ სვამ?

– ვინ უნდა მაიძულებდეს, შე კაცო, ჩემი ნებით ვსვამ, ეგღა მაკლია, ვინმე მაიძულებდეს.

*****

– ალო, ეს უშიშროების ნდობის ანონიმური ტელეფონია?

– კი, ჯემალ, გისმენთ.

*****

ბიჭიკია გვიან დაბრუნდა სახლში ნასვამი.

– ცუცა, ძვირფასო, ნამდვილად ვერ გამოიცნობ, საიდან მოვდივარ.

– არა, გამოცნობით კი გამოვიცნობ, მაგრამ ჯერ შენი ვერსია მაინტერესებს.

*****



სიდედრი სიძეს ესაუბრება:

– რას მეტყვი, სიძე ბატონო, ხშირად კამათობთ შენ და ჩემი გოგო?

– რას ამბობ, ჯულიეტა გიორგევნა, ჩვენ არ ვკამათობთ.

– ეგ როგორ, სულ არ კამათობთ?

– არა, ჩვენ პირდაპირ ცემატყეპაზე გადავდივართ.

*****

გურული გოგოს „კერავს“:

– წავიდეთ ამეღამ, შიშვლებმა ვიბანაოთ ზღვაში.

– კი, მარა მე რომ ცურვა არ ვიცი?

– ნუ ვიბანავებთ მერე, რავა, აუცილებელია თუ?

*****



– ექიმო, ხელფასს იმდენს ვიღებ, რომ ვითვლი, თავს ვერ ვიკავებ და მეცინება.

– რა გინდა მერე, სიცილი სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

– ესე იგი პენსიამდე თავისუფლად მივაღწევ?

– კი და პენსიას, რომ აიღებ სიცილი მერე ნახე!..

***მოამზადა დავით ახობაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ბრიტანელ მძღოლებს ეტიკეტის გამოცდასაც ჩააბარებინებენ?



ვინც საჭესთან ზის, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ გინება და უწმაწური სიტყვების წამოსროლა მძღოლების მუდმივი თანამგზავრია, რასაც ავარიაზე ნაკლები უსიამოვნები ნამდვილად არ მოჰყვება ხოლმე. მაგალითად, შეიძლება ვიღაცამ გინებას ყური მოჰკრას და მძღოლს თავ-ყბა გაუერთიანოს.

და თქვენ გგონიათ, ასეთი სიტუაცია მხოლოდ საქართველოშია? არა, ბატონო, ცდებით. მძღოლების უსაქციელობით ბრიტანელებიც არ ყოფილან მოხიბლულები და ყოველი ხუთი გამოკითხულიდან, ოთხი მიიჩნევს, რომ მართვის მოწმობის მსურველმა სხვა დანარჩენ გამოცდებთან ერთად, დამატებითი, ეტიკეტის გამოცდაც ჩააბარონ.

რამდენად გაითვალისწინებენ შესაბამისი უწყების წარმომადგენლები მოქალაქეების ამ მოთხოვნას, რთული სათქმელია, თუმცა, თუკი მძღოლებს ეტიკეტის გამოცდის ჩაბარებასაც დაავალდებულებენ, დიდი ეჭვი გვაქვს, მართვის მოწმობის აღებას ბევრი ველარ შეძლებს.

*auto.lenta.ru*

## რატომ აკრძალა ჩინეთმა „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“?



1931 წელს გენერალმა ჰე ცზიანმა საყოველთაოდ ცნობილი საბავშვო წიგნი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ აკრძალა.

აკრძალვის მიზეზი ის გახლდათ, რომ ზღაპარში ცხოველები... ლაპარაკობდნენ.

– დაუშვებელია, ბავშვებს ჩავაგონოთ, რომ ცხოველებს ისეთივე ინტელექტუალური შესაძლებლობები აქვთ, როგორც ადამიანებს, – ასე ხსნიდა საკუთარ გადაწყვეტილებას აღშფოთებული გენერალი.

საბედნიეროდ, აბსურდული აკრძალვა დღეს უკვე მოხსნილია და დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად, ამ შესანიშნავ წიგნს ჩინელი ბავშვებიც უპრობლემოდ კითხულობენ.

*bugaga.ru*

## ისრაელში მოხუცების კანისგან ადამიანის... გულის შექმნას ცდილობენ



„გულის შექმნა“ კი ძალიან უცნაურად ჟღერს, მაგრამ გაცილებით უცნაური და სენსაციურია თავად ექსპერიმენტების შინაარსი.

საინტერესოა, რომ უკვე არსებობს ადამიანის უჯრედული მასალისგან მიღებული საკვების მომნელებელი ტრაქტის ქსოვილები, ახლა კი მეცნიერები გულსაც მიუახლოვდნენ.

პირველად მსოფლიოში, მედიკოსებმა გულის კუნთის ცოცხალი, ჯანმრთელი ქსოვილის მიღება შეძლეს, რისთვისაც მათ გულის უკმარისობის მქონე და მიოკარდის ინფარქტგადატანილი პაციენტების კანის უჯრედები გამოიყენეს. ექსპერიმენტები ისრაელში ჩატარდა და შედეგებით ყველა კმაყოფილია, თუმცა იმისთვის, რათა მეთოდი კლინიკურ პრაქტიკაში იქნეს გამოყენებული, კიდევ 10 წელია საჭირო.

კვლევებს კარდიოლოგიისა და ფიზიოლოგიის პროფესორი ლიორ გეპშტეინი ხელმძღვანელობს ქალაქ ჰაიფას ერთ-ერთი სამედიცინო ცენტრიდან.

მისი განმარტებით, გულის კუნთოვანი ქსოვილების მიღებაზე მუშაობა მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს, მაგრამ ექსპერიმენტებისთვის ყველგან ახალგაზრდა და ჯანმრთელი ადამიანების ქსოვილებს იყენებენ. შედეგები, სამწუხაროდ, არცთუ შთამბეჭდავია.

რაც შეეხება ებრაელი მეცნიერების შედეგს, ლაბორატორიულ თაგვებს ხელოვნურად შექმნილი ქსოვილები 24-48 საათში შეეზარდათ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*kakmed.com*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**19 მაისი:** ახალგაზრდად იგრძნობთ თავს, მთავარია, ბავშვობაში არ გადავარდეთ და ისეთი რამეთი არ გაერთოთ, რაც ჯანმრთელობას დაგიზიანებთ.

**კურო 22.04-21.05**

**19 მაისი:** კარგი დღეა ნაყოფიერი მუშაობისა და მორალური კმაყოფილების მომტანი საქმეების საკეთებლად. ძალიან არ გადაიღალოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**19 მაისი:** გრძნობები გაგიმძაფრდებათ და შეიძლება ბევრი ისეთი რამის აღქმა შეძლოთ, რასაც აქამდე ვერ არჩევდით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**19 მაისი:** შეიძლება თქვენი ხუმრობები ვერ გაიგონ, მაგრამ ეს განაწყენების საბაბად არ აქციოთ. თქვენს იუმორს მოგვიანებით შეაფასებენ.

**ლომი 23.07-22.08**

**19 მაისი:** ზედმეტად მორიდებული ნუ იქნებით, მიეცით გარშემომყოფებს კომპლიმენტების თქმის საშუალება, თქვენ ეს დაიმსახურეთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**19 მაისი:** თუ აზარტული ხართ, დიდი სიფრთხილე გმართებთ, არავითარ შემთხვევაში არ ითამაშოთ ფულზე, სანანებლად ნუ გაიხდით საქმეს.

**სასწორი 23.09-22.10**

**19 მაისი:** შეიძლება დროში ვერ ჩაეტიოთ, ამიტომ მუშაობის ტემპი დააჩქარეთ, მაგრამ ისე, რომ ამან ხარისხი არ დააზიანოს.

**მორიელი 23.10-21.11**

**19 მაისი:** გაუგებრობებს მეტ-ნაკლებად სინათლე მოეფინება და დარწმუნდებით, რომ ტყუილად ნერვიულობდით. დამშვიდდით და საქმეებს მიხედეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**19 მაისი:** სულ უმნიშვნელო ფინანსური ოპერაციების დროსაც კი სიფრთხილე გმართებთ. იქნებ უმჯობესია, ეს საქმე სამომავლოდ გადადოთ. ამ თანხას ხვალ უკეთეს დანიშნულებას მოუძებნით.

**თხის რქა 22.12-19.01**

**19 მაისი:** რაღაც დიდი ღონისძიების მონაწილე შეიძლება გახდეთ. თუ მოახერხებთ ამისგან თავი შეიკავეთ, მოჭარბებული ემოციები ნამდვილად არ გჭირდებათ.

**მერწყული 20.01-18.02**

**19 მაისი:** ძალიან კარგი დღეა საიმისოდ, რომ საყვარელ ადამიანთან ერთად მეტი დრო გაატაროთ. თუ ეს არ გსურთ, ამის შესახებ არ გააგებინოთ.

**თევზები 19.02-20.03**

**19 მაისი:** წესით, ოპტიმისტურად უნდა განეწყოთ, რადგან ყველაფერი ადვილად გამოგივათ. ელემენტარული შურიანობის გამო გაუგებრობებია მოსალოდნელი.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)

## კოცნის სასარგებლო თვისებები



რთულია იმის ახსნა, რატომ არის, რომ ადამიანისთვის ბუნებისგან საკვების საყლაპავად მინიჭებულ ნაწილს ყველა ისეთ ექსტაზამდე მიჰყავს, რომ კოცნის გარეშე სიყვარულის არც ერთი ისტორია არ ვითარდება.

როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ძველი ხალხი მიიჩნევდა, რომ კოცნის დროს ადამიანი პარტნიორს საკუთარი სულის ნაწილს აძლევს. მაგალითად, სიყვარულის ინდურ წიგნებში კოცნა წარმოჩენილია როგორც ერთგვარი კოსმიური ფენომენი, როცა შეყვარებული წყვილი რაღაც უხილავისკენ და გამოუცდელისკენ მიილტვის.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა კულტურაში კოცნის აღქმა ერთმანეთისგან განსხვავებულად ხდებოდა. ასე მაგალითად, ვიქტორიანული ეპოქის ინგლისში კოცნა ყოველდღიური ცხოვრებიდან, მათ შორის, ინტიმურიდანაც, პრაქტიკულად, მთლიანად იყო ამოღებული. ცოლს სრული უფლება ჰქონდა, ქმრის ვნებიან კოცნაზე გაბრაზებულიყო, რადგან მორალის ნორმები მას ასწავლიდა, რომ ცოლქმრული სიახლოვე მხოლოდ მემკვიდრეების დასატოვებლად აეტანა. ყველაფერი მოდერნის ეპოქის დასაწყისიდან შეიცვალა.

ცნობილი ფაქტია, რომ კოცნა მხოლოდ ემოციებზე არ მეტყველებს. პირის ღრუს ლორწოვან გარსში მდებარე ეროგენული ზონების სტიმულირებით ის სექსუალურ სურვილებსაც აძლიერებს. მაგრამ ყურადღებით! ადამიანი, რომელსაც კოცნის ხელოვნება კარგად აქვს შესწავლილი, საწოლში ყოველთვის ვერ ამართლებს.

სასიამოვნო სასარგებლოსთან ერთად: მეცნიერულად არის დამტკიცებული კოცნის სამკურნალო ეფექტი. კერძოდ, ჩიკაგოს სტომატოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ კოცნისას ნერწყვის გამოყოფის გაძლიერება, რასაც კალციუმისა და ფოსფორის დონის მატება მოსდევს, შესანიშნავი პროფილაქტიკაა კარიესის წინააღმდეგ. გარდა ამისა, სპეციალისტები კოცნას პროფილაქტიკური აცრის ვარიანტადაც ასახელებენ: ერთი ადამიანის პირიდან მეორეს პირის ღრუში მოხვედრილი ბაქტერიები ორგანიზმის წინააღმდეგობის დონეს ზრდის, ანუ ხდება ე.წ. „ჯვარედინი იმუნიზაცია“. გარდა ამისა, კოცნის დროს მუშაობს ტუჩისა და ენის 31 კუნთი. კოცნა 1 წუთის განმავლობაში იმდენსავე კალორიას წვავს, რამდენიც 500-მეტრიანი მანძილის სირბილით დაფარვისას იწვება. ამასთანავე, კოცნისას სახის კუნთების შეკუმშვა კანს სისხლით უკეთ ამარაგებს, რაც ნაოჭების ნაადრევი გაჩენის ალბათობას ამცირებს.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*woman.ru*



მამა პატარა ნუგზარიკოს ესაუბრება:

– ნუგზარიკო, ბაღში თუ ჩხუბობთ?

– კი, მამიკო, ვჩხუბობთ.

– და რატომ ჩხუბობთ?

– რატომ და სათამაშოების გულისთვის.

– გასაგებია და ყველაზე ძლიერი ვინაა ჩხუბში?

– ვინ არის და ჩვენი დარაჯი თენგიზა ძია – ყველას გვერევა.

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ალია“

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭავაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, D-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.55